პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 40-ე წელი | № 45 (11656) | სამშაბათი, 23 თებერვალი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძალების 42-ე წლისთავია.

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ფხიზლად დგანან საბჭოთა კავშირის უშიშროებისა და სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე!

ვ. ი. ლენინი 1917 წელს საზღვარგარეთიდან პეტროგრადში დაბრუნებისას მატარებელში.

მხატვარ პ. ვასილიევის ნახატიდან.

ნ. ს. ხრუშჩოვი ინდონეზიაში

ჯოკიაკარტა, 21 თებერვალი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ი. ტრუშინი იუწყება: უკვე მეოთხე დღეა, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ინდონეზიაში იმყოფება. დღეს სტუმართმოყვარე ბანდუნგის ათეულათასობ ი თ მცხოვრებმა გააცილა საპატიო საბჭოთა სტუმარი.

და აი უკვე ჯოკიაკარტა — ქალაქი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ინდონეზიელი ხალხის ბრძოლას თავისი დამოუკიდებლობისათვის, ზეიმით ხვდება ნიკიტა სერგის-ძეს. ჯოკიაკარტის აეროდრომზე ნ. ს. ხრუშჩოვს, პრეზიდენტ სუკარნოსა და მათს თანმხლებ საბჭოთა და ინდონეზიელ ოფიციალურ პირებს მიესალმნენ ჯოკიაკარტის განსაკუთრებული ოლქის მეთაური სულთანი ჰამენგკუ ბუვონო IX, ჯოკიაკარტის სამხედრო ოლქის სარდალი პოლკოვნიკი პრანოტო, ქალაქ ჯოკიაკარტის მერი, მუნიციპალიტეტის წევრები და სხვა ოფიციალური პირები.

საპატიო საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული. ზეიმოვნად ჟღერს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის ჰიმნები.

ღია მანქანა, რომლითაც მიდიან ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი სუკარნო, შეძახილებში „ჰიდუპ ხრუშჩოვ!, ჰიდუპ სუკარნო!“ (გაუმარჯოს ხრუშჩოვს!, გაუმარჯოს სუკარნოს!) შედის ჯოკიაკარტაში.

ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა გამოვიდა ქუჩებში. გაისმის აღტაცებული შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობას!“, „მერდეკა!“, მოსკოვი!, მოსკოვი!“, „ვაშა!“.

ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი სუკარნო მიესალმებიან ქუჩებში გამოსულ ჯოკიაკარტის მცხოვრებთ.

ჯოკიაკარტაში ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

დღესვე ნ. ს. ხრუშჩოვმა პრეზიდენტ სუკარნოს თანხლებით ინახულა დაღუპულ გმირთა სასაფლაო „სამაკი“, სადაც დასაფლავებული არიან პარტიზანები, მებრძოლები, ოფიცრები და გენერლები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ინდონეზიის დამოუკიდებლობას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გვირგვინით შეამკო ინდონეზიის რესპუბლიკის ეროვნული ალამი.

დღის მეორე ნახევარში ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა ვრცელი სიტყვა ინდონეზიის ეროვნულ უნივერსიტეტ „ჰაჯი მადაში“.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოჩენას დარბაზში, სადაც რამდენიმე ათასი სტუდენტი შეიკრიბა, ტაშის გრიალით შეხვდნენ. უნივერსიტეტის მასწავლებელთა სახელით ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი სარჯიტო. იგი ამბობს, რომ ეს ყველაზე დიდი დღეა „ჰაჯი მადის“ უნივერსიტეტის ისტორიაში.

მიკროფონთან მიდის ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო ბატონო სულთანო!

პატივცემულო ბატონო ქალაქის მერო!

პატივცემულო ბატონო რექტორო!

ქალბატონებო და ბატონებო!

ჩემო ახალგაზრდა მეგობარო სტუდენტებო!

ნება მიბოძეთ სულით და გულით მოგესალმოთ თქვენ — პროფესორებს, მასწავლებლებს, აგრეთვე დამოუკიდებელი ინდონეზიის სახელმწიფოს ახალგაზრდა მოქალაქეებს. დღეს თქვენ სტუდენტები ხართ, ხვალ კი ინჟინრებად, მასწავლებლებად, ექიმებად, აგრონომებად, მეცნიერ მუშაკებად, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებად შეხვალთ ინდონეზიის ძველისძველ მიწაზე ახალი ცხოვრების მშენებელთა არმიაში. **(ტაში. გამოცოცხლება).**

ჩემთვის ცნობილია, რომ ინდონეზიის ახალგაზრდობამ დიდი როლი შეასრულა ინდონეზიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იმათ შორის, ვინც სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდა კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ყველა ინდონეზიელის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის, ცოტა როდი იყო ქალიშვილი და ჭაბუკი. თქვენს ქვეყანაში შემთხვევით როდი აღინიშნება „ახალგაზრდობის ფიცის დღე“ — 1928 წლის 28 ოქტომბრის სამახსოვრო თარიღის პატივსაცემად, როცა ინდონეზიელი ახალგაზრდობის ლიდერებმა — ხოლო მათ შორის ახლანდელმა პრეზიდენტმა სუკარნომაც — ფიცი დადეს ყოფილიყვნენ ერის ერთობის ერთგულნი. **(მქუხარე ტაში).**

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. გადაუარა მძლავრმა ანტიკოლონიურმა განმწმენდმა ქარიშხლებმა არა მარტო თქვენი ქვეყნის სამი ათას კუნძულს, არამედ აგრეთვე აზიის დიდ ნაწილს და აფრიკის მნიშვნელოვან ნაწილს. თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის კაშკაშა მზე ანათებს ახლა ინდონეზიის ლაჟვარდ ცაში. კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემა სადაც არის საბოლოოდ დაინგრევა.

პრეზიდენტ სუკარნოს მოწოდებით ინდონეზიელმა ხალხმა დაისახა გაბედული და კეთილშობილური ამოცანა — ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაში მოახდინოს ლიკვიდაცია ეკონომიური ჩამორჩენილობისა, რომელიც მიღებულია მემკვიდრეობად იმპერიალისტური ბატონობისაგან. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, გულწრფელად მივესალმებით ასეთ ბრძნულ გადაწყვეტილებას. ჩვენი სიმპათია იმ ხალხთა მხარეზეა, რომლებსაც სურთ ბოლო მოუღონ კოლონიური ჩაგვრის ნაშთებს. ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა ბრძოლა წარსული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის ცხადყოფს, რომ ეს საესებით შესაძლებელია.

თქვენ, ცხადია, იცით, რომ ჩვენი ქვეყანა დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. რევოლუციის შემდეგ ორმოც წელსა და ცოტა მეტ ხანში მრეწველობის საერთო პროდუქცია ჩვენში ორმოცჯერ გადიდდა რევოლუციამდელი რუსეთის უმაღლეს დონესთან შედარებით. **(ტაში).** ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ იძულებული ვიყავით თითქმის ოცი წელიწადი დაგვეხარჯა ომების წარმოებისათვის, რომლებიც იმპერიალისტებმა მოგვახვიეს თავს, და დანგრეული მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისათვის, ფაქტიურად გიგანტური ნახტომი მრეწველობის განვითარებაში ჩვენ გავაკეთეთ ოც წელიწადსა და ცოტა მეტ ხანში.

ახლა საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს დიდ ამოცანას — მოკლე ისტორიულ პერიოდში გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს და მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდეს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. **(ტაში).** ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ შეჯიბრებაში ჩვენს ქვეყანასა და შეერთებულ შტატებს შორის სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში საბჭოთა კავშირი, რომელიც აღსავსეა ძალებითა და ენერგიით, გამარჯვებული გამოვა. **(ტაში).**

მეგობრებო! ჩვენ თქვენთან ერთად ღირსშესანიშნავ დროს ვცხოვრობთ. მეოცე საუკუნემ ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში. ძირეული ცვლილებანი ხდება საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ჩვენს თვალწინ მთავრდება ხალხებისათვის საძულველი კოლონიური სისტემის დაშლა. ხალხებმა გამოიღვიძეს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ისინი თავიანთ ბედს საკუთარ ხელში იღებენ და დიდ საქმეს აკეთებენ. **(ხანგრძლივი ტაში).**

დევგმირული ნაბიჯით მიდის წინ მეცნიერების განვითარება. XIX საუკუნეში ვის შეეძლო ეოცნება, რომ შემდეგი საუკუნის შუა წლებში გამოჩნდებოდა საზღვაო გემები, რომლებიც მოძრაობენ გახლეჩილი ატომის ენერგიით, ხოლო მზის სისტემა შეივსებოდა ახალი პლანეტებით, რომლებიც ადამიანის ხელმა გააკეთა და მანვე კოსმოსურ სივრცეში გაუშვა? დიდი ცვლილებები მოხდა შეხედულებებში ომისა და მშვიდობის პრობლემაზე.

ომები უეჭველად კაცობრიობის ყველაზე დიდი უბედურება იყო მისი ისტორიის მთელ მანძილზე. მაგრამ ომები განა გარდუვალი სამწუხარო ხვედრია კაცობრობისა, როგორც იმპერიალიზმის ზოგიერთი იდეოლოგი ამტკიცებს? ამ კითხვაზე ჩვენ, ვემყარებით რა ომების წარმომშობი მიზეზების მეცნიერულ ანალიზს, უარყოფითად ვუპასუხებთ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ უკვე ჩვენს დროში იქმნება რეალური შესაძლებლობა საბოლოოდ და სამუდამოდ გამოვრიცხოთ ომი საზოგადოების ცხოვრებიდან. **(ტაში).** ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს საერთაშორისო ძალების ახალი განლაგებიდან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა.

ჯერ-ერთი, მშვიდობის პოლიტიკა და მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა ჩვენს დროში სულ უფრო მძლავრ და აქტიურ მხარდაჭერას პოულობს მთელი მსოფლიოს ხალხთა ფართო მასებში. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება სოციალისტური სახელმწიფოების, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის ხალხებს. მშვიდობას მოითხოვს აგრეთვე ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც არის შეერთებული შტატები, რომელთა ხალხი დიდხანს განიცდიდა „ცივი ომის“ მომხრეთა პროპაგანდის ზეგავლენას, სადაც მშვიდობის სასარგებლოდ გამოთქმული აზრები თითქმის სახელმწიფო ღალატადაც კი მიაჩნდათ, ხოლო ომის სასარგებლოდ პროპაგანდა დღემდე კანონით აკრძალული არ არის, — მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს მშვიდობასა და მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას. **(ხანგრძლივი ტაში).** ამაში დავრწმუნდი გასულ წელს ჩემი ვიზიტის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მიწვევით.

დღითიდღე იზრდება და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა — თანამედროვეობის ყველაზე მასობრივი მოძრაობა. მან მოიცვა ყველა ქვეყანა და კონტინენტი, ყველა პროფესიისა და პოლიტიკური რწმენის ადამიანები.

მეორე, მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები უდევს ახლა საფუძვლად ბევრი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. ამ კეთილშობილურ პრინციპებს იცავენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები.

მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ინდონეზიას, ინდოეთსა და აზიის, აფრიკის ბევრ სხვა სახელმწიფოს. ამ ქვეყნების ხმა დღითიდღე სულ უფრო ძლიერი ხდება საერთაშორისო ასპარეზზე.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი თავისი გამჭრიახი თვალით ჯერ კიდევ 1919 წელს გარკვევით ხედავდა, რომ გარდუვალად დაიწყებოდა პერიოდი აღმოსავლეთის ყველა ხალხს მონაწილეობისა მთელი მსოფლიოს ბედის გადაწყვეტაში, რომ აღმოსავლეთის ხალხები იღვიძებენ იმისათვის, რათა პრაქტიკულად იმოქმედონ. (ლენინი. თხზ., ტ. 30, გვ. 177, გამოც. მე-4).

ახლა ხორციელდება დიადი ლენინური განჭვრეტა. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა დასავლეთის სახელმწიფოები თავს ინუგეშებდნენ ილუზიებით, რომ მსოფლიო ისტორია იქმნება მხოლოდ დასავლეთის რამდენიმე დედაქალაქში, იმ ბანკების გამგეობებში, რომლებმაც მთელი მსოფლიო გახვიეს თავიანთ ფინანსურ ხლართებში, რომლებიც განამტკიცეს კოლონიურ სახელმწიფოთა კრეისერებით. ისტორიას მთელი მსოფლიოს ხალხები ქმნიან. განა ჩვენს დროში შეიძლება წარმოვიდგინოთ რომელიმე დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხის ისე გადაჭრა, რომ მონაწილეობა არ მიიღონ ჩინეთმა, ინდოეთმა, ინდონეზიამ და აზიისა და აფრიკის სხვა სახელმწიფოებმა?

ახლა მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის იბრძვის აგრეთვე დასავლეთის ქვეყნების ბევრი მთავრობა და სახელმწიფო მოღვაწე.

მესამე, მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეთა ძალებს ახლა ფრიად მნიშვნელოვანი მატერიალური საშუალებანი აქვთ, რამაც არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს აგრესორებზე.

ახლა მშვიდობისმოყვარე სოციალისტურ ქვეყნებს უჭირავთ დედამიწის ტერიტორიის დაახლოებით მეოთხედი, იქ ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის მესამედი. სამრეწველო პროდუქცია, რომელსაც სოციალისტური ქვეყნები უშვებენ, მსოფლიო წარმოების მესამედზე მეტს შეადგენს. იმის შედეგად, რომ საბჭოთა კავშირი შეასრულებს განვითარების 1959-65 წლების თავის შვიდწლიან გეგმას და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში სწრაფად განვითარდება სახალხო მეურნეობა, 1965 წელს მთელი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტი სოციალისტური ქვეყნების წილად მოვა. მთელი ეს მძლავრი ეკონომიური ძალები ხმარდება მშვიდობის და სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დაცვას.

საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში დიდად განვითარდა მეცნიერება და ტექნიკა. ახლა უკვე ყველასთვის ნათელია ჩვენი ქვეყნის უპირატესობა კოსმოსის სივრცის კვლევაში. **(ტაში).**

მშვიდობის შენარჩუნების საქმეში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი დასავლეთის სახელმწიფოებზე წინ არის ატომური და რაკეტული იარაღის დარგში. სსრ კავშირი იძულებული გახდა მოეწყო ამ იარაღის წარმოება თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად. სხვა გამოსავალი არ არსებობდა დედამიწაზე მშვიდობის შესანარჩუნებლად. ეს რომ არ გვექნა, შესაძლოა მსოფლიოში უკვე გაჩაღებული იქნებოდა ახალი ომის ალი, რომელიც ყველა ქვეყანასა და ყველა კონტინენტს მოედებოდა.

ის გარემოება, რომ მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირს აქვს ატომური და რაკეტული იარაღი, აგრესიისა და კოლონიური ძარცვის მოყვარულთ აიძულებს სულ სხვაგვარად მოიქცნენ, ვიდრე წინათ იქცეოდნენ. მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ გამოვიყენოთ ჩვენი უპირატესობა დიქტატისათვის ან იმისათვის, რომ ჩვენი პოლიტიკა და იდეოლოგია მოვახვიოთ თავს სხვა ქვეყნებსა და ხალხებს. ჩვენ მზადა ვართ თუნდაც დღესვე დავთანხმდეთ მის სრულ მოსპობაზე, თუ ამაზე დათანხმდებიან დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ეკონომიური მხრივ აგრესიის შეზღუდვაში არსებითს როლს ასრულებენ აზიისა და აფრიკის ქვეყნებიც. ისინი დასავლეთის სახელმწიფოებისათვის ნედლეულის უდიდესი მომწოდებელნი არიან. აგრესიის მომხრეებს ესმით, რომ ისეთ პირობებში, როცა აზიისა და აფრიკის მეტი წილი ქვეყნები მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას ახორციელებენ, ისინი თავიანთ აგრესიულ გეგმებში ვეღარ იქონიებენ იმის იმედს, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების უმდიდრესი რესურსები გამოიყენონ.

ამრიგად, როგორც თვითონ ხედავთ, ამჟამად მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეთა ძალები აღემატებიან ომის მომხრეთა ძალებს, ანუ როგორც ინდონეზიაში ამბობენ, მშვიდობიანი კამეჩი მტაცებელ ვეფხვზე ბევრად უფრო ძლიერია. **(ტაში).** დადგა დრო, რომ განმტკიცდეს ნამდვილად მშვიდობიანი ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის და უზრუნველყოფილ იქნას ყველა სახელმწიფოს, ძლიერი და

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1960 წლის 23 თებერვალი № 22 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდგომებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები დღესასწაულობენ ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძალების 42-ე წლისთავს.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე წელს აღინიშნება სკკპ ისტორიული XXI ყრილობის მიერ შემუშავებული კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის განსახორციელებლად საბჭოთა ხალხის უდიდეს წარმატებათა ვითარებაში. შვიდწლედის პირველი წლის შესანიშნავი შედეგები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა, მეცნიერებისა და კულტურის აყვავება, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება თვალსაჩინოდ მოწმობენ საბჭოთა სახელმწიფოს განუხრელად მზარდ ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას.

სულ უფრო საგრძნობი შედეგები მოაქვს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის აქტიურ ლენინურ საგარეო პოლიტიკას. იმსხვრევა „ცივი ომის“ ყინული. იზრდება და ფართოვდება მოეი მსოფლიოს ხალხთა მასების მოძრაობა „ძალის პოზიციის“ გაკტრებული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც იმპერიალისტური ქვეყნების რეაქციული წრეები ახორციელებენ, მოძრაობა სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის გადადგმული დიდი ნაბიჯია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გადაწყვეტილება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. ჩვენი სახელმწიფოს ეს მშვიდობისმოყვარული აქტი მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა ხალხმა და მისმა მეომრებმა, მთელი მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებრიობამ. არმიისა და ფლოტის და თავდაცვის ხარჯების შემცირება ზიანს არ მიაყენებს სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობას და ამავე დროს შეუძლებელს გახდის უფრო წარმატებით განვავითაროთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები, გამოიწვევს სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას.

საბჭოთა კავშირი მზად არის მთლიანად განახორციელოს მის მიერ წინათ შეტანილი წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, თუ მას მხარს დაუჭერს ყველა ქვეყანა, მაგრამ სანამ ჩვენი წინადადება მიღებული არ არის, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იძულებული არიან კვლავაც განმტკიცონ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, ჯეროვან დონეზე იყოლიონ შეიარაღებული ძალები, აღჭურვონ ისინი მრისხანე საბრძოლო იარაღით.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდგომებო, ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო, სამსახურში და თადარიგში მყოფნო, სამსახურიდან გადამდგარნო! მოგილოცავთ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 42-ე წლისთავს.

საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებო! ბეჯითად დაეუფლეთ ახალ საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს, ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ დისციპლინა და წესრიგი ნაწილებში და ხომალდებზე, გააძლიერეთ ჯარების სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა, სამედოდ დაიცავით კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა.

სამხედრო მოსამსახურეებო, რომლებიც თადარიგში მიდიხართ და გადადგომას აპირებთ! უჩვენეთ სახალხო მეურნეობაში გმირული შრომის ნიმუშები, აქტიურად იბრძოლეთ ჩვენი სამშობლოს შემდგომი ეკონომიური და კულტურული აყვავებისათვის!

საბჭოთა შეიარაღებული ძალების 42-ე წლისთავის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 23 თებერვალს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში და გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში — მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს— ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ფხიზლად დგანან საბჭოთა კავშირის უშიშროებისა და სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის ჩვენს ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი

რ. მალინოვსკი.

ლენინურ შრომითს ვახტზე

ფეჯიბრეების ინიციატორებთან

დიდი შრომითი აღმავლობაა რუსთავის ცემენტის ქარხანაში. მეცემენტეები ლენინურ შრომითს ვახტზე დგანან და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავად.

შეჯამებულია შვიდწლედის მეორე წლის გასული დღეების შედეგები. ქარხნის ყველა საამქრო გადაჭარბებით ასრულებს დავალებას. განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ნედლეულის გამოწვის, დაფქვისა და შეფუთვის საამქროთა კოლექტივები. მათი უნარიანი და შემოქმედებითი შრომის შედეგად გეგმის ზეკით გამოშვებულია ათასობით ტონა ძლნკერი და ცემენტი, შვიდწლედის ეკონომიური ფონდი გამდიდრებულია ნახევარი მილიონი მანეთით.

—ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქარხნისათვის — ამბობს ქარხნის დირექტორი ამხ. ი. ზოდელავა, — არის ყარადაღიდან მიღებული ბუნებრივი გაზის გამოყენება.

გაზის გამოყენებამ დიდი ეკონომიური შედეგი გამოიღო. დიდძალ ფულად ეკონომიასთან ერთად გაუმჯობესდა წარმოების კულტურა და, რაც მთავარია, ამაღლდა პროდუქციის ხარისხი.

ათვისებულია ახალი სახის პროდუქცია, ეგრეთწოდებული წდა პორტლანდცემენტი. ეს მეცემენტეთა დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. ახალი პროდუქციის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის იმ საამქროს კოლექტივს, რომელსაც ვ. აბაიშვილი ხელმძღვანელობს.

დიდ შედეგს გამოიღებს აგრეთვე ვერტიკალური შლამაუზების დისტანციურ მართვაზე გადაყვანა, ცემენტის წისქვილების ავტომატიზებული კვება, შლამაუზებში შლამის დონის განმსაზღვრელი მოწყობილობის დამონტაჟება, ცემენტის წისქვილების დაყოფითი ასპირაციის უზრუნველყოფა, ცემენტსსილიანი კრამიტის საამქროს ამუშავება და სხვ.

ზ. მერკვილაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნ. ს. ხრუშჩოვი ბანდუნგში

ბანდუნგი, 20 თებერვალი. (საკდესი). დღეს საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი სუკარნო დაესწრნენ ინდონეზიური მუსიკისა და ცეკვის დიდ კონცერტს, რომელიც ბანდუნგის ოფიციალურმა ხელისუფლებამ გამართეს საბჭოთა საპატიო სტუმრის პატივსაცემად.

კონცერტზე შეასრულეს ინდონეზიური ხალხური ცეკვები და სიმღერები. კონცერტის დამსწრენი მეტად გულთბილად შეხვდნენ სახალხო პარტიზანების სიმღერის „ალო, ბანდუნგის“ შესრულებას, რომელიც მიძღვნილია ოკუპანტთაგან ბანდუნგის განთავისუფლებისადმი. შეკრებილებმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს ცნობილი სიმღერა „მშობლიური ქვეყანა ინდონეზია“.

კონცერტის დასასრულს დასავლეთ იავის გუბერნატორმა მაშუდიმ ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვა სურათი, რომელზეც გამოსახულია დასავლეთ იავის პეიზაჟი. შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ჰიმნები. კონცერტმა განსაკუთრებით თავისუფალ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ინდონეზიაში

ჯოკიაკარტა, 22 თებერვალი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა ინახულეს ბოროობუდურის განთქმული ბუდისტური ტაძარი ჯოკიაკარტის ახლოს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ტაძარი დაათვალიერა პრეზიდენტ სუკარნოსთან ერთად. ბოროობუდურის ტაძარი აშენდა მე-8 საუკუნეში და წარმოადგენს ორიგინალურ ნაგებობას, რომელიც აღმართულია ცხრა ტერასის სახით.

ბოროობუდურის ტაძრის დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლებნი თვითმფრინავით გაემგზავრნენ სურაბაიაში — ინდონეზიის რევოლუციის აკვანში, რომელიც კუნძულ იავის აღმოსავლეთ ნაწილშია.

თითქოს გუშინ იყო... მაგრამ უკვე ისტორიად იქცა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი. რამდენი გმირული ფურცელი ჩაიწერა ამ მარად დაუვიწყარ ისტორიაში.

ამ ეპოპეის ერთ-ერთი ბრწყინვალე მომენტია საბჭოთა არმიის მიერ უკრაინის დედაქალაქის კიევის განთავისუფლება გერმანელი ფაშისტების უღლისაგან.

• • •

სურათებზე: (ქვევით) ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და არმიის გენერალი ნ. თ. ვატუტინი კიევის მისადგომებთან; (ზევით) ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი კიევის განთავისუფლების პირველ დღეს ესაუბრება მეომრებს.

ფოტო კ. ლიშკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ

წელს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავენ სახელოვან საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს—სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ორმოცდაშვიდმეორე წლისთავს. ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებიც შეიარაღებული არიან მოქმედების საბრძოლო პროგრამით — კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, თავიანთ ღონისძიებებს წარმართავენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა არმია შექმნეს და გამოაწრთეს კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა ლენინმა. იგი იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან ბრძოლებში.

ჩვენი ქვეყნის ზრდასთან, მისი სახალხო მეურნეობის, უპირატესად ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად იზრდებოდნენ, მტაცებლებოდნენ, უახლესი ტექნიკით იარაღდებოდნენ საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების, ხალხთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ერთგული დამცველნი.

პარტიამ, ხალხმა საბჭოთა არმიას დააკისრა უძნელესი ამოცანა — დაეცვა საბჭოთა სამშობლო უცხოელ დამპყრობლთა და შინაური კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალებისაგან, შეენარჩუნებინა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი. ეს ამოცანა მან პირნათლად შეასრულა.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და მთელი საბჭოთა ხალხის ყველაზე მკაცრი გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. ამ ომმა მოითხოვა ხალხის მთელი ძალების დაძაბვა, ყველა საშუალების მობილიზაცია. ვერაგი და ცბიერი მტერი ცდილობდა ერთი დარტყმით გაენადგურებინა ჩვენი ქვეყანა, კაპიტალისტური მონობის უღელი დაედგა საბჭოთა ადამიანებისათვის. მაგრამ ფაშისტები ანგარიშში მოტაუვდნენ, მათი ვერაგული გეგმები დამსხვრეულ იქნა.

საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით არა მარტო დიაცვეს თავიანთი სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, არამედ კაცობრიობა იხსნეს ფაშისტური დამონებისაგან. ამ ომში კიდევ უფრო დამჯერებლად იჩინა თავი საბჭოთა სოციალისტური წყობილების უპირატესობამ კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით.

საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ბრწყინვალე გამარჯვება დაამთავრეს მეორე მსოფლიო ომი. ეს შეეძლოთ მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმის ქვეყნის ადამიანებს, კომუნისტური წყობის ადამიანებს. ვ. ი. ლენინი სწერდა: „ვერასდროს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უბრალოსობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა... რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათთვის და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“.

ჩვენი დიდი ხალხის იტორიის მატიანეში ოქროს ასოებით ჩაწერილია დიდი სამამულო ომის გმირთა სახელები. მუდამ დიდებით მოიხსენიება 28 გმირი პანფილოველის, ზოია კოსმოდემიანსკაიას, კრასნოდონის გმირების, მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, სევასტოპოლის, ოდესის დაცვის გმირების სახელი.

საბჭოთა საქართველოს მრავალი ათასი შვილი იბრძოდა რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, ყაზახების, ტაჯიკების, სომხების და სხვა მოძმე ერების მეომართა მხარდამხარ მოსკოვთან და ლენინგრადთან, ხარკოვთან და სტალინგრადთან, კაკასიასა და ყირიმში, კურსკის რკალზე და კარპატებთან, ვარშავასთან და ბერლინთან, მონაწილეობას იღებდა სხვა მრავალ ოპერაციებში, რომლებიც ბრწყინვალედ განახორციელა საბჭოთა არმიამ.

მტერთან ბრძოლაში საბჭოთა მეომრები ძლევდნენ ყველა სიძნელეს, იჩენდნენ მძლავრ შეტევითს სულისკვეთებას. თავდადებას და მასობრივ გმირობას. გმირობისა და მამაცობისათვის მილიონობით საბჭოთა მეომარი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ათასობით მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

ომისშემდგომ წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა სოციალისტური ბანაკი. ახლა საბჭოთა კავშირი მარტო აღარ არის. სოციალისტურ ბანაკში მილიარდ კაცზე მეტი მოსახლეობაა. სოციალიზმი მძლავრი მსოფლიო სისტემა გახდა. საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვის გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, დღითიდღე ავითარებს თავის ეკონომიკასა და კულტურას.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკას. ამას ადასტურებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის ისტორიული გადაწყვეტილება.

მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია სესიის ისტორიული მასალები, კერძოდ ამხანაგ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის მოხსენება „განიარაღება მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა მეგობრობის უზრუნველყოფის გზაა“, ავრეთვე „კანონი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების, ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ“ და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს პარლამენტებისა და მთავრობებისადმი.

სესიის ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება ერთხელ კიდევ ნათლად მეტყველებს საბჭოთა კავშირის მთავრობისა და კომუნისტური პარტიის სამშვიდობო პოლიტიკაზე.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემცირება ოდნავადაც არ ასუსტებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვითს ძლიერებას. იგი, ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე ხალხისა და მთავრობის ერთიანობა, ბრძენი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, შემოქმედებითი შრომის დაცვის უწმიდესი მოვალეობა იყო და არის ჩვენი ქვეყნის ძლიერების დაუშრეტელი წყარო.

საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხი ცალმხრივი წესით ამცირებს თავის შეიარაღებულ ძალებს ერთ მილიონ 200 ათასი კაცით.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების საგრძნობლად შემცირება კიდევ უფრო მეტ მოვალეობას აკისრებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში. ერთი წუთითაც არ შეიძლება დავიიწყოთ, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობენ აგრესიული ძალები. ეს გვავალებს კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი ჯარების ბრძოლისუნარიანობა სამშობლოს თავდაცვის საქმეში, კიდევ უფრო ფხიზლად ვიდგეთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვის სადარაჯოზე.

ჩვენი ქვეყნის დაცვის საქმე საიმედოდ ხელშია. საბჭოთა მეომრები, მჭიდროდ დარაზმულნი კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ყოველთვის მზად არიან შეასრულონ თავიანთი უწმიდესი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, გამანადგურებელი დარტყმა აგემონ იმათ, ვინც თავიანთ ბინძურ ხელს აღმართავს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის წინააღმდეგ.

აღნიშნავენ რა საბჭოთა არმიისა და ხამხედრო-საზღვაო ფლოტის 42-ე წლისთავს, საბჭოთა ადამიანები ცხადყოფენ მხურვალე მისწრაფებას განუხრელად შეუწყონ ხელი ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის, საბჭოთა არმიისა და ფლოტის ძლიერების, შემდგომ განმტკიცებას.

გ. ᲣᲧᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

გენერალ-მაიორი

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

სუსტი, დიდი და პატარა სახელმწიფოების უშიშროება. ამის გზაა ომის წარმოების მთელი მატერიალური საშუალებების გაუქმება და აკრძალვა. სწორედ ამის მიღწევას ისახავს მიზნად წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც საბჭოთა მთავრობამ შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XIV სესიაზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება, მიღებული 1960 წლის იანვარში, იმის შესახებ, რომ მოხდეს ჩვენი შეიარაღებული ძალების რიცხვის ახალი ცალმხრივი შემცირება მესამედით, ესე იგი 1 მილიონ 200 ათასი კაცით. **(ხანგრძლივი ტაში, მოწონების შეძახილები).**

სასიხარულოა ვხედავდეთ, რომ საბჭოთა კავშირის ახალი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის განმტკიცება, მხურვალედ მოიწონა ყველა ხალხმა, ინდონეზიის რესპუბლიკის ხალხმა და მთავრობამ — ჩვენმა ერთგულმა მეგობარმა ყველა ქვეყნას შორის მშვიდობიანი თანაშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის ერთობლივ ბრძოლაში. **(ტაში).**

ძვირფასო მეგობრებო!

საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის მაგალითით ჩვენ ვიცით, თუ რა უდიდეს როლს ასრულებს ეროვნული კადრების მომზადება და აღზრდა. იმისათვის, რომ მიაღწიოთ მოსახლეობის კულტურულ-ტექნიკური დონის სწრაფ ზრდას, უზრუნველვყოთ ყველა დარგების საჭირო ადამიანთა ძალების აღმავლობა, საჭიროა გადაწყვეტილ ნაბიჯებს გადადგმა. ეროვნული ინტელიგენციის შექმნის ამოცანა. საბჭოთა ხელისუფლებამ ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობად მიიღო ჩამორჩენილობა და წერა-კითხვის უცოდინარობა, ამჟამად კი ტექნიკური, მეცნიერული, სამედიცინო და სხვა კადრების მომზადების მხრივ ჩვენმა ქვეყანამ პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს შორის. **(ტაში).**

საბჭოთა სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგისათვის სპეციალისტების მომზადებას. ჩვენს ქვეყანაში არის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მქონე 13 მილიონ 400 ათასი კაცი და საშუალო განათლების მქონე 45 მილიონზე მეტი კაცი, ხოლო მეცნიერ მუშაკთა რიცხვი შეადგენს 300 ათასზე მეტს — ოცდაათჯერ მეტს, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში. ამ უკანასკნელ ხანს ჩვენ სამჯერ მეტ ინჟინერს ვუშვებთ, ვიდრე ამერიკელები. **(ხანგრძლივი ტაში).**

თქვენ მხოლოდ ამას წინათ დაიწყეთ თქვენში ეროვნული მრეწველობის შექმნა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის გარდაქმნა. თქვენ ჯერ კიდევ მწვავედ გრძნობთ, რომ საჭიროა ეროვნული კადრების, სამშობლოს ერთგული საკუთარი ინტელიგენციის დიდი რაზმის მომზადება. ჩვენ ვიცით, რომ ეს ადვილი ამოცანა როდია. მაგრამ ახალგაზრდობას, რომელსაც კანონიერად უწოდებენ ერის იმედს, სიძნელეებისა ხომ არ ეშინია. ამასთანავე თქვენ გყავთ საიმედო მეგობრები, რომლებიც მზად არიან გამოგიწოდონ ძმური დახმარების ხელი.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების კოლონიზატორთა ხანგრძლივი ბატონობის და ბუნებრივი სიმდიდრის ულმობელი ექსპლოატაციის, ძარცვის, დატაცების შედეგად ამ ქვეყნების ხალხები სიღატაკისა და კულტურული ჩამორჩენილობის პირობებში ცხოვრობდნენ.

უკანასკნელ წლებში ამ ქვეყნების ხალხები მამაცურად იბრძვიან თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, თავიანთი ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის.

საბჭოთა კავშირი ეკონომიურ დახმარებას უწევს იმ ქვეყნებს, რომლებიც ასეთ დახმარებას გვთხოვენ. მაგრამ ხალხებს მარტო ეკონომიური დახმარება როდი ესაჭიროებათ, მათ მწვავედ ესაჭიროებათ განათლების განვითარება, თავიანთი ეროვნული კადრების შექმნა, რომლებიც სწორად შეიგნებენ საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს, შეიარაღებული იქნებიან თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის ცოდნით. იშრომებენ თავიანთი სამშობლოს ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

ბევრ ნიჭიერ ადამიანს წარმოშობს ყოველი ხალხი, მაგრამ გაჭირვებული, მათხოვრული მდგომარეობის შედეგად მშრომელ ადამიანთა წრიდან გამოსული ტალანტები ხშირად ჭკნებიან და ვერ ვითარდებიან. ჩვენ ეს ვიცით ყოფილი მეფის რუსეთის გამოცდილების მიხედვით.

სურს რა გაუწიოს დახმარება ქვეყნებს საკუთარი ეროვნული კადრების — ინჟინრების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ექიმების, მასწავლებლების, ეკონომისტებისა და ცოდნის სხვა დარგების სპეციალისტების მომზადებაში, საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა დაარსოს მოსკოვში ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ეს გადაწყვეტილება მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის პროგრესულ საზოგადოებრივ წრეებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთ არაერთხელ მოუმართავთ თხოვნით, რომ გაფართოვდეს მათი ეროვნული კადრების მომზადება საბჭოთა კავშირის სასწავლებლებში. ჩვენში ამჟამად სწავლობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბევრი სტუდენტი. მაგრამ მეტ წილ ამ სტუდენტებს გზავნიან მთავრობის ორგანოები და, რა თქმა უნდა, ეს ორგანები ყველა თხოვნას ვერ დააკმაყოფილებენ. ამიტომ ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახების ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას საშუალება არა აქვს განახორციელოს თავისი სურვილი — ისწავლოს საბჭოთა კავშირში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალ უნივერსიტეტში შეუძლია ისწავლოს იმასაც, ვისაც მთავრობის ორგანოები გზავნიან, და იმასაც, ვინც პირადად მოისურვებს ამას. გათვალისწინებულია მეგობრობის უნივერსიტეტთან შექმნას მოსამზადებელი განყოფილება, სადაც ახალგაზრდობას, რომელსაც არა აქვს საჭირო მომზადება, შეეძლება შეიძინოს საჭირო ცოდნა უნივერსიტეტში შესასვლელად.

ამრიგად, მეგობრობის უნივერსიტეტში შეიძლება მოემზადონ ცოდნის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც საჭიროა ქვეყნებისათვის და რომლებიც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ თავიანთი ხალხის საკეთილდღეოდ, ღირსეულად ემსახურონ თავიანთ სამშობლოს, რომელმაც ისინი გაზარდა.

დასასრულ ნება მიბოძეთ გესურვოთ, რომ ამ განთქმულ სასწავლებელში ყოფნის დროს კარგად მოემზადოთ შრომისა და ინდონეზიელი ხალხის ბედნიერებისათვის საბრძოლველად. **(ტაში).** თქვენს წინაშეა ბედნიერი მომავალი, მაგრამ მისი გზა მხოლოდ ერთია — შრომა. როგორც სწორად შენიშნა პრეზიდენტმა სუკარნომ, სამართლიანი და აყვავებული საზოგადოება ციდან როდი ჩამოვარდება ღამის ცვარივით. ასეთი საზოგადოებისათვის საჭიროა ბრძოლა, იგი უნდა ამოდდეს. **(ტაში).**

ბატონებო! ჩემი ახალგაზრდა მეგობრებო, ნება მიბოძეთ ჩემი სიტყვის ტექსტში შევიტანო ერთგვარი დამატება.

მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო თქვენი უნივერსიტეტის რექტორს იმ გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც ნათქვამი იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებზე. ჩვენს ხალხზე, მეცნიერულ აღმოჩენებსა და პროგრესზე მეცნიერებაში, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია. მსურს მივმართო ბატონ პროფესორებსა და ჩემს მეგობარ სტუდენტებს: რატომ არ უნდა ჩამოხვიდეთ საბჭოთა კავშირში და არ ნახოთ, არ შეისწავლოთ, როგორ ცხოვრობს და ვითარდება ჩვენი ქვეყანა? **(გამოცოცხლება დარბაზში, ხანგრძლივი ტაში).**

ამ სხდომის წინ მე ვესაუბრე პატივცემულ ბატონ რექტორს და ვკითხე: ბატონო რექტორო, სად, რომელ ქვეყნებში ბრძანებულხართ? მან მიპასუხა, რომ იყო ამერიკაში, იყო გერმანიაში, საფრანგეთში და ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნებში. მაგრამ საბჭოთა კავშირი ხომ ევროპის ქვეყანაც არის და აზიისაც. **(ტაში).** რატომ უნდა იღებდეთ ინფორმაციას საბჭოთა კავშირის მეცნიერების განვითარებისა და ეკონომიკისა და კულტურის მიღწევათა შესახებ მესამე ქვეყნების მეშვეობით? რატომ უნდა სწავლობდეთ საბჭოთა კავშირს ამერიკელების, გერმანელების, ფრანგებისა და სხვების თვალით? **(მჭუხარე ტაში).** განა უმჯობესი არ არის თქვენ თვითონ ჩამოხვიდეთ ჩვენში, ნახოთ, მოსინჯოთ და შეიტყოთ, თუ რა არის ეს, როგორ და საით მიდის ჩვენში სქმე. **(ტაში).** ჩვენ მოგცემთ ხელწერილს, რომ საბჭოთა კავშირში თქვენი ყოფნის დროს არ შეგიყვანთ კომუნისტურ პარტიაში, თავს არ მოგახვევთ სოციალისტურ წყობილებას. შეგიძლიათ ობიექტურად შეისწავლოთ ყველაფერი, რასაც ისურვებთ, და აირჩიოთ თქვენთვის ყველაფერი, რასაც სასარგებლოდ მიიჩნევთ. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: სწორია, თანახმა ვართ).**

ყოველივე ამას გეუბნებით როგორც დიდი საბჭოთა ხალხის წარმომადგენელი, როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

კომუნისტური პარტია ბაკალეის დუქანში როდია. ბაკალეის დუქანში, რაც მეტ მყიდველს შეიტყუებ, რაც მეტ საპონს, აყროლებულ ქაშაყს ან სხვა გაფუჭებულ საქონელს გაჰყიდი, მით უფრო მეტს მოიგებ. **(სიცილი დარბაზში. ტაში).**

ჯერ კიდევ დიდი ლენინი ამბობდა კომუნისტურ პარტიაზე, რომ იგი ძლიერია არა თავისი რიცხვით, არამედ კომუნისტთა საბრძოლო თვისებებით. 1917 წელს, როცა ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, ლენინის პარტიაში ითვლებოდა 250 ათასი კაცი, ხოლო მან გაიყოლა ქვეყანა, რომელშიც 120 მილიონი მოსახლე იყო. **(ტაში).** კომუნისტებს მიჰყავდათ ხალხი იმიტომ, რომ ისინი გამოხატავდნენ ხალხის ინტერესებს, მასებში შეჰქონდათ კომუნისმის იდეები, ადამიანებს უჩვენებდნენ ნათელი მომავლის გზას, რომლისკენაც მოუწოდებდნენ მარქსი, ენგელსი, ლენინი.

კომუნიზმი არ შეიძლება ძალის დახმარებით დანერგო. კომუნიზმი არის დიადი მიზანი, დიადი იდეა. იდეების დანერგვა არ შეიძლება ძალის დახმარებით, ისევე როგორც არავითარი ძალით, არავითარი იარაღით არ შეიძლება მათი შეჩერება. კომუნიზმი თვით ცხოვრებაა; სადაც კაცი ცხოვრობს, იქ ცხოვრობენ იდეებიც. კომუნიზმს, იდეებს ვერავითარი საზღვრით ვერ გაეკიჯნები. კომუნიზმის იდეებს ვერ დაემალები, როგორც ღამურა ემალება მზეს. **(გამოცოცხლება).** შეიძლება აღიარებდე ან არ აღიარებდე კომუნიზმს, მაგრამ ეს მოძღვრება არსებობს და ძლევამოსილად განვითარებას განაგრძობს. **(მჭუხარე ტაში).**

ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია 8 მილიონზე მეტ კაცს ითვლის. ხოლო ჩვენში მოსახლეობა 212 მილიონი კაცია. ჩვენ რომ გვეთქვა — ჩაეწერეთ, ვისაც გსურთ, კომუნისტურ პარტიაშია, მაშინ უთუოდ ჩვენს პარტიაში ახლა მრავალი ათეული მილიონი წევრი იქნებოდა. მაგრამ ჩვენ ვამბობთ — ეს არ გვესაჭიროება. იმისათვის, რომ კომუნისტი გახდე, საჭიროა არა მარტო გესმოდეს კომუნიზმი, არამედ მისი აქტიური ჯარისკაციც იყო. ხოლო ეს ყველას როდი შეუძლია იმათგან, ვინც მხარს უჭერს კომუნისტური პარტიის იდეებს.

ჩვენს ქვეყანას იმპერიალისტური წრეები უწოდებენ „კომუნიზმის მონების ქვეყანას“. ჰო და ასე, ჩამოდით ჩვენში და თვითონ ნახეთ, როგორ ცხოვრობენ „კომუნიზმის მონები“, — შეიძლება თქვენც მოგეწონოთ ეს ცხოვრება. **(მჭუხარე ტაში. გამოცოცხლება, მოწონების შეძახილები).** არ მოგეწონებათ და — ნუ შეიცვლით აზრს.

მაგრამ ყოველი მოაზროვნე ადამიანი უნდა დაფიქრდეს: რატომ მოხდა, რომ, აიღეს რა თავიანთ ხელში ძალაუფლება 42 წლის წინათ, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ, წარსულში წერა-კითხვის უცოდინარმა ადამიანებმა ახლა თავიანთი ქვეყანა მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოიყვანეს ეკონომიკის დონის მხრივ და პირველ ადგილზე — მეცნიერების განვითარების მხრივ! **(მჭუხარე ტაში).**

თუ სოციალისტური წყობილება ცუდია, რატომ არის მთვარეზე ახლა საბჭოთა კავშირის მიერ გაგზავნილი ალამი, ხოლო ეგრეთწოდებული თავისუფალი ქვეყნები, თავიანთ მთვარისებს არ გზავნიან იმ გზით, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაკაფა? **(სიცილი. მჭუხარე ტაში).**

ჩვენ ვამბობთ: დავა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის არ შეიძლება გადაიჭრას დისპუტებით. ეს დავა გადაწყდება ისტორიული განვითარებით, შეჯიბრებით. ის წყობილება, რომელიც ხალხებს ანიჭებს თავისუფლებას, აძლევს მეტ მატერიალურ და სულიერ სიკეთეს, ის წყობილება იქნება ხალხის მიერ აღიარებული როგორც საუკეთესო, ყველაზე პროგრესული. ხოლო სხვა წყობილება უნდა მოკვდეს, ადგილი დაუთმოს ახალს. **(მჭუხარე ტაში).** რა თქმა უნდა, თქვენ გესმით, რომ მოკვდება კაპიტალისტური წყობილება და არა ხალხები, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში ცხოვრობენ. ხალხები გადავლენ ახალ სოციალისტურ რელსებზე და აყვავდებიან, გაიზრდებიან და განვითარდებიან.

ბატონო პროფესორებო, მობრძანდით ჩვენთან, გაეცანით ჩვენს პროფესორებსა და მეცნიერებს. ნახეთ, როგორ შრომობენ ისინი, როგორ ცხოვრობენ, როგორ არიან უზრუნველყოფილნი მატერიალურად. სოციალისტური სახელმწიფო დიდად აფასებს ადამიანთა გონებრივ შრომას, თუ ეს შრომა მიმართულია ხალხის კეთილდღეობისათვის. საბჭოთა სახელმწიფო ჩვენს მეცნიერებს მეტ ხელფასს აძლევს, ვიდრე კაპიტალისტები აძლევენ თავიანთ მეცნიერებს **(მჭუხარე ტაში)**, და ჩვენ ამას მოვუძებნეთ გამართლება და ახსნა: თუ კაპიტალისტები დიდ ხელფასს აძლევენ მეცნიერებს იმისათვის, რომ ისინი დაეხმარონ მათ გამდიდრდნენ ხალხის ხარჯზე. ჩვენ რატომ არ უნდა ვაძლევდეთ მეცნიერებს მეტს იმისათვის, რომ ისინი მუშაობენ მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის საკეთილდღეოდ, თავიანთი ხალხის საკეთილდღეოდ! **(მჭუხარე ტაში).**

სოციალისტური წყობილება ქმნის ყველა პირობას გონებრივი შრომის განვითარების ა თ ვ ი ს, თვითეულის ზრდისათვის, ვისაც შეუძლია შემოქმედებითად იაზროვნოს, ვისაც შეუძლია მეცნიერება წასწიოს წინ! **(ტაში).**

ახალგაზრდა მეგობარო სტუდენტებო, თქვენც მოგმართავთ— ჩამოდით ჩვენს ქვეყანაში, ნახეთ საბჭოთა სტუდენტების ცხოვრება, ვფიქრობ, რომ ზოგი რამ შეიძლება სასარგებლო იყოს თქვენთვის. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გისურვებთ წარმატებებს ყოველმხრივ განვითარებული, აყვავებული ინდონეზიის ა თ ვ ი ს ბრძოლაში! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ინდონეზიელი ხალხის სამარადისო მეგობრობას! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! **(მჭუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. მისასალმებელი შეძახილები საბჭოთა კავშირის, საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან. პრეზიდენტი სუკარნო „ვაშას“ შეძახილებში ხელს ართმევს ნ. ს. ხრუშჩოვს).**

• • •

შემდეგ უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა სარჯიტომ მეორედ აიღო სიტყვა, გულთბილი მადლობა გადაუხადა ნ. ს. ხრუშჩოვს მისი სიტყვისათვის, მის მიერ გამოთქმული მეგობრული რჩევისა და სურვილისათვის და განაცხადა, რომ პროფესორები, მასწავლებლები და სტუდენტები გაითვალისწინებენ ამ რჩევასა და სურვილებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი სუკარნო მიდიან უნივერსიტეტიდან და მიემგზავრებიან თავიანთ რეზიდენციაში, მათ მიაცილებენ მქუხარე ოვაციით, აღფრთოვანებული შეძახილებით „მშვიდობა“, „მეგობრობა“.

საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვი და პრეზიდენტი სუკარნო დაესწრნენ ინდონეზიური მუსიკისა და ცეკვის კონცერტს.

ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთის მცხოვრები სვიმონ გელაშვილი. ახალგაზრდა მეომარმა გაიარა მთელი ყუბანი და ქერჩამდე მივიდა. სასტიკ ბრძოლებში ვაჟკაცდებოდა რიგითი მებრძოლი. სამშობლოს განთავისუფლებისათვის მას არაერთგზის გამოუჩენია მამაცობა.

...ერთხელ, თებერვლის სუსხიან საღამოს, როცა ჩვენი ჯარები ზღვისაკენ ერეკებოდნენ მტერს, ყუმბარის ფეთქებამ შეწყვიტა კავშირურთიერთობა. საჭირო იყო დაუყოვნებლივ მისი აღდგენა. და აი მებრძოლმა გელაშვილმა იესრა შეესრულებინა პასუხსაგები საბრძოლო დავალება. მან წიაღო ტელეფონის აპარატი, კაბელი, ხელსაწყოები და გაემართა გაწყვეტის ადგილისაკენ. რამდენიმე ნაბიჯი ძლივს გადადგა, რომ მის თავზე გაიზუზუნა პირველმა ტყვიამ. იძულებული გახდა გაწოლილიყო და მუცელზე ხოხვით წასულიყო. ყინვა ძვალსა და რბილში უჭდებოდა, ხელები ეყინებოდა, თავზე კი ტყვიები ზუზუნებდნენ. სიცოცხლის რისკით მიიწევდა წინ მამაცი მეომარი. ბოლოს, შორს დაინახა გაწყვეტის ადგილი, მაგრამ ამ დროს იგრძნო, რომ რაღაცამ აუწვა სახე და თოვლი სისხლით შეიღება.

„დავი

ძვირფასი ნაშრომები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტისაგან

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ ყველა ნაშრომთაგან, რომლებიც წარმოდგენილია 1960 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად, სექციებისა და კომიტეტის პლენუმის მიერ მათი განხილვის შემდეგ შერჩეულია შემდგომი მსჯელობისათვის შემდეგი კანდიდატურები:

ლიტერატურის დარგში

1. ა. ი. აჯუბეი, ნ. მ. გრიბაჩოვი, გ. ა. ფედოროვი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ს. ლებედევი, ე. ვ. ლიტოშკო, ვ. ა. მატვეევი, ვ. ი. ოგნევი, ა. ა. სატიუკოვი, ო. ა. ტროინოვსკი, ა. ს. შევჩენკო, გ. ტ. შუისკი. „ამერიკის პირისპირ მოთხრობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შესახებ“.

წარმოადგინა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოსკოვის საქალაქო განყოფილებამ.

2. ბ. ნ. პოლევოი. „ღრმა ზურგი“, რომანი.

წარმოადგინა ჟურნალ „ზნამიას“ სარედაქციო კოლეგიამ.

3. შ. რ. რაშიდოვი. „ქარიშხალზე ლიერი“, რომანი.

წარმოადგინეს უზბეკეთის მწერალთა კავშირმა შუა აზიის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

4. მ. თ. რილსკი. „ვარდები და ყურძენი“, „შორეული ცისკიდური“, ლექსთა კრებულები.

წარმოადგინეს უკრაინის მწერალთა კავშირმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, ლვოვის უნივერსიტეტმა, ოდესის კ. დ. უშინსკის სახელობის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა.

5. მირსო ტურსუნ-ზადე. — „აზიის ბგა“, ლექსებისა და პოემების წიგნი; „ჰასან არბაკეში“, პოემა.

წარმოადგინეს ტაჯიკეთის მწერალთა კავშირმა, ჟურნალ „შარქი სურპის“ სარედაქციო კოლეგიამ.

6. მ. ა. შოლოხოვი. „გატეხილი ყამჩარი“, რომანი. წიგნები 1 და 2. წარმოადგინეს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმმა, გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო კოლეგიამ, ჟურნალ „ნევის“ სარედაქციო კოლეგიამ.

7. იაკუბ კოლასი. „გზაჯვარედინზე“ ტრილოგია.

წარმოადგინა ბელორუსიის მწერალთა კავშირმა.

მუსიკისა და საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის დარგში

1. ნ. გ. ეიგანოვი. „ჯალილი“, ოპერა.

წარმოადგინეს სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტმა, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტრომ, თათრეთის ასსრ კულტურის სამინისტრომ, თათრეთის კომპოზიტორთა კავშირმა, თათრეთის მ. ჯალილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა.

2. ყ. ა. ყარაევი. „ქუხილის ბილიკით“, ბალეტი.

წარმოადგინეს სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტრომ.

3. ბ. ნ. ლიატოშინსკი. მესამე სიმფონია.

წარმოადგინეს უკრაინის კომპოზიტორთა კავშირმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, უკრაინის სსრ სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა.

4. დ. თ. ოისტრახი. 1958-1959 წლებში ახალი საკონცერტო პროგრამების შესრულება, რომლებიც შეიცავენ საბჭოთა და კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნაწარმოებებს.

წარმოადგინა მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიამ.

5. გ. ვ. სვირიდოვი. „პათეტიკური ორატორია“; „სერგი ესენინის ხსოვნას“, ვოკალურ-სიმფონიური პოემა; ვოკალური ციკლი რ. ბერნსის ლექსებზე.

წარმოადგინეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირმა, რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტრომ, მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიამ.

სახვითი ხელოვნების დარგში

1. ე. ვ. ვუჩეტიჩი. სკულპტურა „მახვილისაგან გამოვეჯოდოთ სახნისი“. წარმოადგინეს სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიამ, რუსეთის სფსრ კულტურის სამინისტრომ.

2. გ. მანსაროვი, მ. სოლიევი — მოხატვის ოსტატები, ზ. ნადიროვი, რ. რაჯაბოვი, ო. ფაიაზოვი — ჩუქურთმის ოსტატები. ლენინაბადის რაიონის მოსკოვის სახელობის კოლმეურნეობის კულტურის სასახლის მხატვრული გაფორმება (მოხატვა და ჩუქურთმა).

წარმოადგინეს ტაჯიკეთის სსრ კულტურის სამინისტრომ, ტაჯიკეთის მხატვართა კავშირმა, ტაჯიკეთის არქიტექტორთა კავშირმა, ტაჯიკეთის მხატვართა კავშირის ლენინაბადის განყოფილებამ, ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა.

3. მ. ხ. სარიანი. სურათების ციკლი „ჩემი სამშობლო“: „სომხეთი“ „სოფელ კარინჯის კოლმეურნეობა თუმანიანის მთებში“, „ბამბის კრეფა არარატის ველზე“, „ლალვარი“, „არარატის ველი დვინიდან“, „არარატი დვინიდან“, „ბიურაკანი“.

წარმოადგინეს სომხეთის სსრ კულტურის სამინისტრომ, სომხეთის მხატვართა კავშირმა.

თეატრალური ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის დარგში

1. ვ. მ. აჯემიანი — რეჟისორი, დ. მ. მალიანი, ბ. ა. ნერსესიანი — როლების შემსრულებლები. „პეტკა „ქაოსი“ სომხეთის გ. სუნდუკიანი სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

წარმოადგინეს სომხეთის სსრ კულტურის სამინისტრომ, სომხეთის თეატრალურმა საზოგადოებამ.

2. ს. ფ. ბონდარჩუკი — რეჟისორი და სოკოლოვის როლის შემსრულებელი, ვ. ვ. მონახოვი — ოპერატორი. მხატვრული ფილმი „ადამიანის ბედი“, კინოსტუდია „მოსფილმის“ ნაწარმოები.

წარმოადგინეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირმა, კინოსტუდია „მოსფილმმა“, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილებამ.

3. რ. ლ. კარმენი — რეჟისორი. ფერადი დოკუმენტური ფილმები „მოთხრობა კასპიის მენავთობეებზე“, „ზღვის დამპყრობნი“, კინოსტუდია „ზნერბაიჯანფილმის“ და დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის წარმოება.

წარმოადგინეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირმა.

• • •

იმისათვის, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა ფართოდ გაეცნოს პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომებს, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი აწყობს გადაცემათა ციკლს რადიოთი და სატელევიზიო ცენტრებით. დასახელებული ნაშრომების ჩვენება ხორციელდება თეატრებში, კინოთეატრებში, საკონცერტო დარბაზებში, სახელმწიფო ტრეტიაკოვის გალერიაში.

1960 წლის ლენინური პრემიების მიკუთვნების დროს კომიტეტისათვის დიდი და ძვირფასი დახმარება იქნება წარმოდგენილი ნაშრომების დროზე და აქტიური განხილვა საბჭოთა პრესის ორგანოებისა და ფართო საზოგადოებრიობის მიერ. კომიტეტი მადლობას იქნება შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კულტურის დაწესებულებებისა და ყველა მშრომელისა, თუ ისინი მონაწილეობას მიიღებენ ლენინური პრემიების მოსაპოვებლად დასახელებული კანდიდატურების განხილვაში და გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, წინადადებებსა და შენიშვნებს პრესის ფურცლებზე, ანდა წერილებში კომიტეტის მისამართით (მოსკოვი, კ-9, სამხატვრო თეატრის გასასვლელი, სახლი 3-ა) ამა წლის 31 მარტამდე.

№ ნაწილის ოფიცერთა მეთაურის მოადგილე სერჟანტი ი. გორუკვსკი (მარცხნივ) ამეცადინებს რიგით არმიელებს ა. ოსტროვსკი, ა. ოსტროვსკი, ე. ფომაროვს და ვ. ტარარაკოვს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეს ნომერი 2-ის ფასად

ამ რაზე სწერენ გაზეთები

◆ თბილისში პეკინის ქუჩაზე № 68 სახლში თითქმის ორი წელია, რაც მობინადრეთა ჩასახლეს, მაგრამ მისასვლელი გზა დღემდე კეთილმოწყობელია, ქუჩა, მოედანი, სახლის ეზო და მისასვლელი ტალახითია და წყლის გუბეებით არის დაფარული. აქ ჯერ კიდევ ბლომად ყრია მიწის ზვინები და მშენებლობის ნარჩენები.

ე. გვანცელაძე,
ი. ოკრეშვილი.

◆ ლენინგორის რაიონის სოფლების ზახორიაა და ცხილონის კოლმეურნეები რამდენიმე წლის წინათ იგოეთაპეს მშენებლობაზე აქტიურად მუშაობდნენ, შეგვპირდნენ, რომ ელექტროშუქი გვექნებოდა ამ სოფლების მოსახლეობას. გადის დრო, დაპირებას კი არავინ არ ასრულებს.

ა. მარგიევი,
აგრონომი.

◆ კასპის რაიონის სოფელი ახალციხე კეთილმოწყობელია. არ არის კლუბის შესაფერისი შენობა, რის გამო მშრომელებს არ აჩვენებენ კინოსურათებს. ელექტროშუქი, რომელიც ძლივს გვეღირსა, რატომღაც ისევ შეგვიწყვიტეს.

ქ. ბარნოვი,
ი. სვანიშვილი,
მ. ხარაბიშვილი.

◆ მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ობჩამდე ორი წლის წინ „საქსოფლენერგოს“ ზესტაფონის განყოფილებამ მიიყვანა ელექტროხაზი. ამ საქმეზე თავდადებით იმუშავეს ობჩელმა კოლმეურნეებმაც და ელექტროსინათლეც მიიღეს. მაგრამ ამ სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები რატომღაც სისტემატიურად გამორთული არიან ქსელიდან.

ა. სამხარაძე.

გმირები არ კვდებიან

მუხანათი მტერი მოულოდნელად შემოიჭრა უკრაინის მიწაზე. გამხეცებული ფაშისტები ყველაფერს ანადგურებდნენ. დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა...

იმ ქარიშხლიან წლებში ათასობით ქართველი ვაჟკაცი გმირულად იცავდა უკრაინას, იცავდა ისევე, როგორც მშობლიურ საქართველოს დაიცავდა. ბევრი გამარჯვებული დაბრუნდა, მაგრამ ბევრი მამაცთა სიკვდილით დაეცა.

საბჭოთა უკრაინისათვის მამაცურად იბრძოდა როდინოულელი (ზესტაფონის რაიონი) ახალგაზრდა ოფიცერი ლევან ვარლამის-ძე ჩუბინიძე. იგი გმირთა სიკვდილით დაეცა. ასახელა საბჭოთა იარაღი, მშობლიური ხალხი... ლევანს საბჭოთა კაეშირის გმირის სპატიო წოდება მიენიჭა.

ჩადგა ომის ქარიშხალი. საბჭოთა ხალხმა მოიპოვა გამარჯვება, რისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძოდა ლევან ჩუბინიძე... გმირის დედამ ვერა მიხეილის ასულმა დაახლოებით იცოდა გმირი შვილის დაღუპვის ადგილი კიევის ოლქში.

გასული წლის ბოლოს მან წერილი გაგზავნა უკრაინაში, ვისაია დუბეჩნიას რაიონის ჩერნენკის საშუალო სკოლის მისამართით. ამას წინათ ზესტაფონში უკრაინიდან ბარათი მოვიდა. ჩერნენკის საშუალო სკოლის დირექტორი პეტრე გონჩარი წერს:

„გამარჯობათ, ღრმადპატივცემულო, საბჭოთა კავშირის გმირის დედავ, ვერა მიხეილის ასულო! უკრაინელი ხალხი დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმურ დახმარებას ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენნი სამშობლოს შვილთა ხსოვნა, რომლებმაც თავი გასწირეს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში, არასოდეს არ დაიფარება მივიწყების ფერფლით, თაობიდან თაობას გადაეცემა.

მივიღეთ თქვენი ამაღელვებელი წერილი და ვჩქარობთ გაცნობოთ, რომ ჩვენი სოფლის მახლობლად ნამდვილად იქნა დასაფლავებული საბჭოთა არმიის ერთ-ერთი ოფიცერი, თქვენი შვილი, საბჭოთა კავშირის გმირი ლევან ვარლამის-ძე ჩუბინიძე.

გმირულად დაღუპული რაინდი ამხანაგებმა დაკრძალეს მხედრული წესით და სთხოვეს სოფელ ჩერნენკის მცხოვრებლებს პატივი ეცათ გმირის ხსოვნისათვის. 1955 წელს გმირის ცხედარი გადატანილ იქნა ძმათა სასაფლაოზე, სოფლის ცენტრში — სკოლის მახლობლად. საფლავზე აღმართულია ძეგლი, რომლის მახლობლად სოფლის ახალგაზრდობამ და მოსწავლეებმა გააშენეს ბაღი, სოფლის საზოგადოებრიობა პატივს სცემს გმირთა ხსოვნას, უვლის სასაფლაოს, ყვავილების გვირგვინებით ამკობს მას.

სკოლის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს სკოლას უწოდოს სახელი თქვენი შვილის ლ. ვ. ჩუბინიძისა, რომელმაც თავი შესწირა უკრაინას. ეს საკითხი აღძრული გვაქვს და პასუხის მიღებას გაცნობებთ. ამასთანავე გთხოვთ გვესტუმროთ. მოხარული ვიქნებით გიხილოთ ჩვენს სოფელში. თქვენ დარწმუნდებით, როგორ პატივს ვცემთ გმირთა სახელებს“.

ამ ბარათის პასუხად გმირის დედამ ვერა მიხეილის ასულმა და როდინოულის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა წერილები და ამანათები გაგზავნეს კიევის ოლქში, პეტრე გონჩარის მისამართით.

ჭეშმარიტად, გმირები არ კვდებიან, მათი შარავანდედით მოსილი სახელები საუკუნეებს გადასწვდება. ვერა მიხეილის ასულს კი შეუძლია გაიმეოროს დიდი ილიას „ქართველის დედის“ სიტყვები:

„ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე,
მამულო შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს
შენთვის სიკვდილი...“

ჯ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გასულ კვირაში — 15 თებერვლიდან 21 თებერვლამდე რედაქციაში შემოვიდა 260 წერილი, საგრძნობლად მეტი, ვიდრე წინა კვირის განმავლობაში. ათობით შენიშვნა, სტატია, კორესპონდენცია მიიღო რედაქციამ ქუთაისიდან, ბათუმიდან, რუსთავიდან, ხოსუმიდან, ჭიათურიდან, ტყიბულიდან, აგრეთვე თელავის, ზუგდიდის, მახარაძის, გალისა და საქართველოს სხვა რაიონებიდან. ამ წერილებში ასახულია ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ცხოვრება, ავტორები მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ როგორც მიდის საქმე ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, აყენებენ წინადადებებს, ამხილებენ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და მიუთითებენ მათი გამოსწორების გზებზე. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მოდის კორესპონდენციები, რომლებიც ასახავენ შემოქმედებითი შრომის სიხარულს, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, ხოლო კრიტიკულ შენიშვნებს მეტწილად გზავნიან მშრომელები სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილი უბნებიდან.

ახლოვდება დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით გასული კვირის მანძილზე რედაქციაში მრავალი წერილი და სტატია შემოვიდა, რომლებშიც გამოხატულია დიდი ბელადისადმი, მისი დიადი საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება. მუშები, კოლმეურნეები ლენინის საქმის ერთგულების ნიშნად მისი დაბადების დღესთან დაკავშირებით ახალ, გაზრდილ ვალდებულებებს იღებენ. აღნიშნული წერილების ერთი ნაწილი უკვე გამოქვეყნდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, ზოგიც მომზადებულია დასაბეჭდად.

გასულ კვირაში რედაქციაში შემოსული მრავალი წერილი და კორესპონდენცია ეხება ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოგზაურობას ინდოეთში, ბირმასა და ინდონეზიაში. ავტორები გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ საბჭოთა ქვეყნის მეთაურის ეს ისტორიული მოგზაურობა განამტკიცებს ხალხთა შორის მშვიდობას, მეგობრობასა და ურთიერთ თანამშრომლობას.

მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის კონფერენციას განიარაღების საკითხზე, რომელიც გასულ კვირაში — 15 თებერვალს გაიხსნა მოსკოვში. ამასთან დაკავშირებით რედაქციის სახელზე მიღებულ კორესპონდენციებში გამოთქმულია ყველა საბჭოთა ადამიანის ნება და სურვილი — ძალდონის დაუზოგავად იბრძოლონ მსოფლიოსათვის, სადაც არ იქნება იარაღი, მსოფლიოსათვის, სადაც არ იქნება ომები.

ჩვენს მკითხველებს უთუოდ აინტერესებთ, როგორ გამოიყენა რედაქციამ გასული კვირის ფოსტა, როგორი მიმართულება მისცა მას.

გაზეთის ექვს ნომერში — 15 თებერვლიდან 21 თებერვლამდე გამოქვეყნდა და სხვადასხვა საგაზეთო ყანირით გამოყენებულ იქნა მრავალი წერილი და კორესპონდენცია. რამდენიმე წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა ჩვენს საკუთარ კორესპონდენტებს, ხოლო შემოსული კრიტიკული შენიშვნებისა და განცხადებების ერთი ნაწილი ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს გადავუგზავნეთ შესამოწმებლად და ზომების მისაღებად.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ზოგი ორგანიზაცია ზერელედ და უპასუხისმგებლოდ ეკიდება მშრომელთა სიგნალებს, რომლებიც მათ გადაუგზავნა რედაქციამ. თითქმის ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც რედაქციამ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გაუგზავნა თ. ესიტაშვილ-მაგრაქველიძის საჩივარი. მაგრამ დღემდე არც რედაქციას, არც ავტორს პასუხი არ მიუღიათ.

ასევე პასუხი არ მიგვიღია ა. ჩხიროძის მამხილებელ წერილზე, რომელიც ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში გაეგზავნა პარტიის ვანის რაიკომს. რაიკომს ორჯერ გაეგზავნა შეხსენება ამ წერილის თაობაზე, მესამედ ტელეფონით დავუკავშირდით, პასუხი კი მაინც არ ჩანს.

როგორც მკითხველი სარედაქციო ფოსტის ანალიზიდან ხედავს, გაზეთის ფურცლებზე რედაქციაში შემოსული წერილების მხოლოდ ერთი ნაწილი იბეჭდება. მაგრამ, ცხადია, დაუბეჭდავი წერილებიც უყურადღებოდ არ უნდა რჩებოდეს, მშრომელთა ყოველ სიგნალს, ყოველ წინადადებას, შენიშვნას დროზე და საქმიანად უნდა გამოეხმაუროთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვითეული ამ წერილის უკან ცოცხალი ადამიანი დგას და ჩვენგან გულისხმიერ მოპყრობას, დახმარებას, გარკვეულ პასუხს ელის.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

პირუტყვს რომ ენა ჰქონდეს...

ამ სათაურით „კომუნისტში“ გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა ლენინგორის რაიონის სოფლების ყანჩავეთის, წუბენის, ზემო ზაყორისა და ნახიდის კოლმეურნეობებში პირუტყვის ცუდად გამოზამთრებას.

როგორც საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომი გვატყობინებს, კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები მთლიანად შეეფერება სინამდვილეს.

გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან ერთად განხილულ იქნა პარტიის რაიონულ კომიტეტში. ადგილებზე კონკრეტული დახმარების გასაწევად გაიგზავნენ რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებმაც კოლმეურნეობების გამგეობებთან ერთად მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.



ალბანელი რევოლუციონერი

საქართველო გულთბილ მოგონებებს ინახავს ალბანელი პატრიოტი რევოლუციონერის ნაუნ გრიგოლის ძე პრიფტის ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერმა თანამშრომლებმა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის თხოვნით შეაგროვეს ვრცელი მასალა, რომელიც მკაფიოდ გვიხატავს ნათელ მომავლისათვის მებრძოლი კომუნისტის, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უსაზღვროდ ერთგული ნაუნ პრიფტის კეთილშობილურ სახეს.

ნაუნ პრიფტი დაიბადა ალბანეთის სოფელ ლიბოვშაში. მისი შრომითი საქმიანობა იწყება ჭაუკობიდანვე გომნაზიის დამთავრების შემდეგ. იგი ჯერ კიდევ მაშინ, როცა პედაგოგიური კურსების მსმენელი იყო, არალეგალურ მუშაობას, რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდა მოსახლეობაში. 1919 წლის აპრილში ნაუნ პრიფტი დაიპატიმრეს და ჩასვეს ბაბიცის საპყრობილეში, სადაც ერთ წელიწადს იჯდა. განთავისუფლების შემდეგ იგი კიდევ უფრო აქტიურად ჩაება არალეგალურ მუშაობაში.

ნაუნ პრიფტი იარაღით ხელში მონაწილეობდა ალბანეთის 1920 წლის რევოლუციაში, თავისი სამშობლოს სხვა ერთგულ შვილებთან ერთად თავდადებით იბრძოდა იტალიელ ინტერვენტთა წინააღმდეგ, იყო ლიბოვშის ოლქის ხელმძღვანელი. მომდევნო წლებში ახალგაზრდა რევოლუციონერი მასწავლებლად მუშაობდა ფიერსა და ლუტნიეში. 1924 წელს იგი მონაწილეობდა ალბანეთის სამოქალაქო ომში, ალბანელი ხალხის გამოსვლებში უცხოელ დამპონებელთა წინააღმდეგ. იტალიელმა ფაშისტებმა რევოლუციური მოღვაწეობისათვის სამართალში მისცეს იგი.

ნაუნ პრიფტის სახელთან დაკავშირებულია ალბანეთის რევოლუციური ახალგაზრდობის ორგანიზაციის შექმნა. 1924 წელს იგი ახალგაზრდობის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე იყო ლუტნიეში. მისი მგზნებარე სიტყვები ახალგაზრდობის კრებებსა და მიტინგებზე, პრესაში გამოქვეყნებული სტატიები მოუწოდებდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ინტერვენტების მიერ დევნილი ნაუნ პრიფტი იძულებული გახდა მიეტოვებინა შობლიური ქვეყანა. 1925 წლის ოქტომბერში იგი, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი, ჩამოვიდა სსრ კავშირში „ბაგზავნეს რემედასის განკარგულებაში. 1926 წლის ნოემბერში ნაუნ პრიფტი თბილისს ჩამოვიდა.

ნაუნ პრიფტის შესანიშნავი ცხოვრების ფურცლები

შეკრებილი მასალები მოგვითხრობენ, თუ როგორ ცხოვრობდა, სწავლობდა და მუშაობდა ალბანელი ხალხის სახელოვანი შვილი საქართველოში, რომელიც მისთვის მეორე საშობლო გახდა. აქ საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა იგი ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში გაგზავნა სასწავლებლად. თბილისში იგი ჯერ ცხოვრობდა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში, ხოლო შემდეგ წერეთლის ქუჩაზე № 14 სახლში. შემონახული დოკუმენტები მოგვითხრობენ, თუ რა წარმატება ჰქონდა ნაუნ პრიფტს სწავლაში, და რა მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ მუშაობაში. იგი საყოველთაო პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა სტუდენტებსა და მასწავლებლებში. გარემოსილი ჰყავდათ დიდი ყურადღებითა და ზრუნვით. როცა ნაუნ პრიფტი ხანგრძლივი გაჭირვებული ცხოვრების, არალეგალური რევოლუციური მუშაობის შედეგად მძიმედ გახდა ავად, უნივერსიტეტის დირექციამ, ამხანაგებმა და მეგობრებმა დიდი ზრუნვა გამოიჩინეს მისთვის და აბასთუმანს გაგზავნეს სამკურნალოდ.

ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში ალბანეთის კომუნისტური ჯგუფის წევრი 1923 წლიდან ნაუნ პრიფტი 1928 წლის თებერვალში საკ. კპ (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღეს. თბილისში გახდა პარტიის წევრადაც.

უნივერსიტეტში სწავლის ოთხი წლის კურსის დამთავრების შემდეგ ნაუნ პრიფტი, როგორც ასპირანტი, მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ ეკონომიურ საკვლევ ინსტიტუტში. აქ იგი აირჩიეს პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარედ. იგი ანგარიშს არ უწევდა დროს, იმას, რომ მისი ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდებოდა და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა, ხელმძღვანელობდა მიმდინარე პოლიტიკის წრეს, ასწავლიდა პოლიტიკურ ეკონომიას ამიერკავკასიის მელიორაციისა და ირიგაციის ინსტიტუტში. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა იგი სხვა ამხანაგებთან ერთად პროპაგანდისტად გაგზავნა თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილებში.

1931 წლის იანვარში სახელოვანი ალბანელი პატრიოტის ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლენა მოხდა. იგი საბჭოთა მოქალაქე გახდა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ნაუნ პრიფტიმ განაგრძო მეცნიერული მუშაობა და ლექტორობა. შემდეგ დანიშნეს ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ინსტიტუტის დირექტორად მოადგილედ სასწავლო ნაწილში.

სიცოცხლის უკანასკნელი 3-4 თვე მძიმე ავადმყოფმა ნაუნ პრიფტიმ გულრიფშში გაატარა. 1934 წლის 10 მაისს გულრიფშიდან მოვიდა მისი გარდაცვალების სამწუხარო ამბავი. ამ ამბავმა დიდად შეაწუხა საქართველოს საზოგადოებრიობა, ყველა ისინი, ვინც იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა მასთან. ნაუნ პრიფტის საკვდილის ცნობა გამოაქვეყნეს გაზეთებმა „კომუნისტმა“ და „ზარია ვოსტოკამ“.

წლებმა ვერ წაშალა მოგონებანი ალბანელი ხალხის ერთგული შვილის შესახებ, ხალხისა, რომელიც ახლა თავის ქვეყანაში აშენებს სოციალიზმს, ნათელ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას, რომლისთვის ბრძოლასაც შესწირა თავი ნაუნ პრიფტიმ. სიყვარულით და სათუთად უელიან მის საფლავს გულრიფშში.

თბილისში წერეთლის ქუჩაზე № 14 სახლის ფასადს, სადაც ცხოვრობდა ჩვენი ალბანელი მეგობარი, გაუკეთდება მემორიალური დაფა. ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში, სადაც გასახსნელად ამზადებენ ნაუნ გრიგოლის ძე პრიფტის მემორიალურ მუზეუმს, თბილისიდან იგზავნება პრიფტის პირადი ნივთები.

საქართველოს მშრომელები სამარადისოდ შეინახავენ სახელოვანი ალბანელი პატრიოტი რევოლუციონერის ნათელ ხსოვნას.

ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის ამსრულებლის სოტირ მანუშის მიერ გამოგზავნილ წერილში გამოთქმულია გულთბადი მადლობა შეგროვებული მასალებისათვის, რომლებიც ასახავენ ნაუნ პრიფტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას საქართველოში. „ნაუნ პრიფტიმ, — ნათქვამია წერილში, — ბოლშევიკური წრთობა მიიღო მხოლოდ თქვენში, დიდი ლენინის პარტიის რიგებში“. (საქელესი).

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა ცნობილი მეღორის იაროსლავ ჩიჟის მუშაობის გამოცდილებამ. მისი მაგალითისამებრ მუშაობენ ამჟამად კასპელი ახალგაზრდა მეღორეები. ამ მოწინავე გამოცდილებას პირველნი გამოეხმაურნენ კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მოწინავე მწყემსები. სურათზე: კასპის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეღორეები მ. კუსრაშვილი (მარცხნივ) და ი. თეზიაშვილი გულდასმით ეცნობიან სახელგანთქმული მეღორის იაროსლავ ჩიჟის მუშაობის გამოცდილებას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაცია

21 თებერვალს მოსკოვში ნიუ-იორკიდან ტურბრახნიანი სამგზავრო ლაინერით „ტუ-114“ დაბრუნდა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების დელეგაცია. დელეგაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა სამ კვირაზე მეტ ხანს ამერიკის შეერთებული შტატების შტატთა გუბერნატორების კონფერენციის აღმასრულებელი კომიტეტის მიწვევით. საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების მოგზაურობა იყო საპასუხო ვიზიტი საბჭოთა კავშირში 1959 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებული შტატების შტატთა გუბერნატორების ჯგუფის ყოფნაზე.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ს. პოლიანსკი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი დ. ა. კუნაევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები: უკრაინის სს რესპუბლიკისა — ნ. ტ. კალჩენკო, საქართველოს სს რესპუბლიკისა — გ. დ. ჯავახიშვილი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა — მ. ა. ისკენდეროვი და სხვები.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები ა. ნ. კოსიგინი, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნ. ორგანოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. ა. იასნოვი და სხვები.

შემხვედრთა შორის იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ლუელინ ე. ტომპსონი.

ფაგრიკა

საბჭოთა კავშირის დახმარებით

პეკინი, 21 თებერვალი. (საკდესი). როგორც სინხუას საააგენტო იუწყება, შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდი დღეს 8 საათსა და 11 წუთიდან 12 საათსა და 25 წუთამდე იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში — ფუძიანის პროვინციის რაიონში.

ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სამხედრო ხომალდი იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში იმავე რაიონში 16 საათსა და 13 წუთიდან 19 საათსა და 08 წუთამდე.

დღესვე 11 საათზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის საპატრულო თვითმფრინავმა დაარღვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო საზღვარი გუანდუნის პროვინციის რაიონში.

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ამ სამხედრო პროვოკაციასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს დავალებული აქვს გამოთქვას სერიოზული გაფრთხილება.

სრულიად საქართველოს ახალი კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები

20 თებერვალს თბილისში, სიონის საკათედრო სამტრიარქო ტაძარში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-10 კრება, რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს ახალი კათალიკოს-პატრიარქის არჩევნებს ამას წინათ გარდაცვლილი კათალიკოს მელქისედეკ III ნაცვლად. კრებას დესწრნენ საქართველოს ეკლესიის ყველა საეპისკოპოსოს დელეგატები, აგრეთვე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციები.

კრებამ ფარული კენჭისყრით ერთხმაც დაადგინა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურად არჩეულ იქნას სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი ეფრემი.

კვირას მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მორწმუნეთა თანდასწრებით აკურთხეს ახალი კათალიკოს-პატრიარქი. კურთხევაში, იპისკოპოსების — ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრების გარდა, მონაწილეობა მიიღეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის და ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციებმა, აგრეთვე ყველა სომეხთა უმაღლესმა პატრიარქმა — კათალიკოსმა ვაზგენ I, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა.

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას და კათალიკოს-პატრიარქ ეფრემს კურთხევას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა რწმუნებული მ. მექვაბიშვილი. (საქდესი).

ნაადრევი გაზაფხული.

ფოტოეტიუდი პ. ლუცენკოსი. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მიმართვა

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ჟურნალისტებს მოუწოდა ჩადგნენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

მსოფლიო უიარაღოდ, უომოდ, ნათქვამია მიმართვაში, ყოველი ხალხის, ყოველი პატიოსანი ადამიანის სანუკვარი ოცნებაა. ჩვენ, ჟურნალისტებმა, კარგად ვიცით და ვხედავთ, თუ რა აუტანელია ხალხებისათვის მარტო ფიქრიც კი ომზე, რა მძიმე და სატანჯველ ტვირთად აწევს ადამიანებს შეიარაღება.

ახლა, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, რეალური გახდა კაცობრიობის საუცხოო ოცნება იმაზე, რომ მახვილისაგან გუთანი გამოიჭედოს. სრული და საყოველთაო განიარაღების პროგრამას, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა წამოაყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნიდან, ყველა აღიარებს იმ საიმედო გზად, რომლითაც კაცობრიობას შეუძლია თავი დააღწიოს „ცივი ომისა“ და გამალებული შეიარაღების მიხვეულ-მოხვეულ ლაბირინთებს და გამოვიდეს მშვიდობისა და შემოქმედებითი შრომის სწორ გზაზე.

მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებო, ნათქვამია მიმართვაში, დაე ჩვენმა კალამმა არასოდეს არ დაწეროს არც ერთი სტატია, არც ერთი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა ომის სასარგებლოდ და გამალებული შეიარაღების სასარგებლოდ. მთელი ჩვენი გულის გზნება, მთელი ჟურნალისტური ოსტატობა, ჩვენი ენერგია და ნიჭი მოვახმაროთ მშვიდობის დაცვას და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას!

გავუმართლოთ იმედი ჩვენს მკითხველებს და ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ფურცლებით, რადიოთი და ტელევიზიით მივაწოდოთ მართალი და წმინდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვან მშვიდობა გამალებული შეიარაღების მომხრეთა ბინძური და სისხლიანი ონებისაგან. ჩვენ შეგვიძლია და კიდეკიც უნდა გადაკრით უარვყოთ ომი, რადგან ჩვენს ხელშია ხალხთა საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების უდიდესი ძალა. (საკდესი).



თეთრი ოლიმპიადა

სპრინტერები საციგურაოზე

სკვო ველი, 20 თებერვალი. (საკდესი). ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი 500 მეტრ დისტანციაზე ჩქაროსნულ ციგურაობაში ქალთა შორის გახდა გერმანიის ოლიმპიური გუნდის წარმომადგენელი ხ. ჰაააზე (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) — 45,9 წამი.

სტარტი აიღო 23 მოციგურავემ, მათ შორის მსოფლიოს რეკორსმენმა ამ დისტანციაზე თ. რილოვამ (სსრ კავშირი), რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა შედეგით — 46,2 წამი. მეორე ადგილზეა ნ. დონჩენკო (სსრ კავშირი) — 46 წამი. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ამერიკელმა დ. ემოორტმა — 46,1 წამი.

სლალომისტთა სტარტი

სკვო ველი, 21 თებერვალი. (საკდესი). დღეს კტ-22 მთის ფერდობებზე გაიმართა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში ვაჟთა შორის. პირველი ადგილი და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ცნობილმა შვეიცარიელმა სამთო მოთხილამურემ რ. შტაუბმა. მან 1.800 მეტრი დისტანცია, რომლის სიმაღლეთა განსხვავება 553 მეტრს უდრიდა და რომელზეც მოწყობილი იყო 55 კარი, გაიარა 1 წუთსა და 48,3 წამში. მეორე ადგილი დაიკავა ავსტრიელმა პ. შტიგლერმა — 1 წუთი და 48,7 წამი. ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი წილად ხვდა მის თანამემამულე ე. ჰინტერზეერს, რომელმაც აჩვენა 1 წუთი და 49,1 წამი.

საბჭოთა სპორტსმენები გიგანტური სლალომის შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

თანამედროვე ორბიდი — ბიატლონი

სკვო ველი, 21 თებერვალი. (საკდესი). დღეს ოლიმპიური მედლებისათვის ბრძოლაში პირველნი ჩაებნენ თანამედროვე ორბიდის — ბიატლონის მონაწილენი. სპორტის ამ სახეობაში შედის 20 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენა და დისტანციაზე ოთხჯერ სროლა. 30 მონაწილეს შორის გაიმარჯვა კ. ლესტანდერმა (შვეიცარია), რომელმაც აჩვენა დრო — 1 საათი, 33 წუთი და 21,6 წამი. მეორე ადგილზეა ა. ტიერეიაინენი (ფინეთი), მესამეზე ა. პრივალოვი (სსრ კავშირი).

სამოცმეტრიან ტრამპლინზე

სკვო ველი, 22 თებერვალი. (საკდესი). გუშინ 33 სპორტსმენმა გაითამაშა ჩრდილოეთის ორბიდში ოლიმპიური პირველობის პირველი ნაწილი. ამ სახეობაში შედის ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა და სათხილამურო გადარბენა 15 კილომეტრზე. თვითეული მთხილამურე სამჯერ ხტებოდა 60-მეტრიანი ტრამპლინიდან; ორი საუკეთესო ნახტომი ჩათვლაში შედიოდა.

ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში გაიმარჯვა 22 წლის გერმანელმა სპორტსმენმა გეორგ ტომამ. მისი შედეგია 221,5 ქულა. მეორე ადგილზეა საბჭოთა მოთხილამურე დმიტრი კოჩკინი 219,5 ქულა. მესამე ადგილი წილად ხვდა იაპონიის წარმომადგენელს იოსუკე ეტოს, რომელმაც შეაგროვა 218,5 ქულა.

დღეს მაკინი კრიეში ორბიდელები გამოვლენ 15-კილომეტრიანი სათხილამურო რბოლის სტარტზე; ამის შედეგად გამოვლინდება თეთრი ოლიმპიადის ჩემპიონი სპორტის ამ სახეობაში.

ჰოკეის მოედნებზე

სკვო ველი, 22 თებერვალი. (საკდესი). დამთავრდა შაიბიან ჰოკეიში ოლიმპიური ტურნირის წინასწარი თამაშები. ეს შეჯიბრება ამავე დროს მსოფლიოსა და ევროპის პირველობაცაა.

შვეიცის გუნდმა ადვილად დაამარცხა იაპონელი ჰოკეისტები ანგარიშით 19:0 (8:0, 5:0 და 6:0). გერმანიისა და ფინეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა გერმანელ ჰოკეისტთა გამარჯვებით — 4:1 (1:0, 2:0 და 1:1). დღეს ყველაზე ბოლოს დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის ჰოკეისტთა გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 12:1 (6:0, 3:0 და 3:1).

ამრიგად, შაიბიან ჰოკეიში ოლიმპიური ტურნირის ფინალურ შეჯიბრებაში გავიდნენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიციისა და გერმანიის გაერთიანებული გუნდები.

ლ. სკოგლიკოვას გამარჯვება

სკვო ველი, 21 თებერვალი. (საკდესი). 23 სპორტსმენმა ქალმა ათ ქვეყნიდან დღეს აიღო 1.500 მეტრ დისტანციაზე ცივურებით ჩქაროსნული რბენის სტარტი. შეჯიბრება მიმდინარეობდა მზიან, უჭარო ამინდში; უკვე პირველ რბენაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კ. გუსევა (სსრ კავშირი) და ი. გერმერი (გერმანია), მაღალი შედეგი გვიჩვენა საბჭოთა სპორტსმენმა ქალმა — 2 წუთი და 28,7 წამი.

მაგრამ ყველაზე მაღალი შედეგი ნაჩვენები იყო მეცხრე გარბენაში, სადაც გამოვიდა 21 წლის ასაკის ჩელიაბინსკელი სპორტსმენი ლ. სკობლიკოვა და პოლონელი მოციგურავე ხ. ჰალეიჩიკი. სკობლიკოვამ მშვენივრად გაიარა მთელი დისტანცია და ფინიშზე მივიდა 2 წუთისა და 25,2 წამის შედეგზე. ეს შედეგი 0,3 წამით აღემატება საბჭოთა სპორტსმენის ხ. ჩიგოლევის მსოფლიო რეკორდს.

პოლონელმა სპორტსმენმა აჩვენა 2 წუთი და 27,1 წამი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ვერცხლის ოლიმპიური მედალი მოიპოვა მიხმა თანამემამულემ ე. ხერიჩინსკამ, რომელმაც აჩვენა 2 წუთი და 25,7 წამი.

XXVII ჩემპიონატი

ლენინგრადი. 21 თებერვალი. (საკორ.). საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა ტურებში ბრძოლის სიმწვავემ იმატა.

მეჩვიდმეტე ტურში გროსმაისტერ ე. გელერმა შემტევი სტილით ჩაატარა ბრძოლა ვ. ლებერზონის წინააღმდეგ. გათამაშების ცხრილში მეტად საყურადღებო ქულა ჩაიწერა. ტ. პეტროსიან-ბ. სასაკი პარტია ტ. პეტროსიანის ავადმყოფობის გამო არ შემდგარა.

„არასასიამოვნო შემთხვევის“ შემდეგ ვ. კორჩნოი თამაშობდა ნ. კროგიუსთან. უნდა ითქვას, რომ გროსმაისტერს ამ ბრძოლაც არასახარბიელო მდგომარეობაში ჰქონდა, მაგრამ 24-ე სვლაზე ნ. კროგიუსმა შეცდომა დაუშვა და მალე თავი დაიმარცხებულად ცნო.

წარმატებით იბრძვის ბაქოელი ოსტატი ვ. ბაგიროვი. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ექვს ტურში მან 5,5 ქულა შეაგროვა, ამასთანავე გროსმაისტერებთან არც ერთი პარტია არ წაუგია. მეჩვიდმეტე ტურში მან კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, დაამარცხა გროსმაისტერი ი. ბრონშტეინი.

ე. გუფელდმა მოუგო ი. სუეტინს, ტაიმანოვმა — ვ. სიმაგინს, ი. ლუტიკოვმა — ვ. შამკოვიჩს. დანარჩენი პარტიები, მათ შორის ი. ავერბახ — ბ. გურგენიძის პარტია გადადიდო.

ლენინგრადი. 22 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა XXVII საკავშირო პირველობის უკანასკნელისწინა, მეთვრამეტე ტური.

ვ. კორჩნოიმ ციტნოტში კარგად გამოიყენა ე. გელერის არაზუსტი თამაში და 36-ე სვლაზე გაიმარჯვა. ი. ავერბახმა მოუგო ლ. პოლუგაევსკის, ბ. სასიკინ — ბ. გურგენიძეს. ვ. ბაგიროვ-ტ. პეტროსიანსის, ნ. კროგიუს-დ. ბრონშტეინთან და ა. ლუტოვიკოვ-ე. გუფელდის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადადიდო.

ამრიგად, უკანასკნელი ტურის წინ ლიდერი გახდა ვ. კორჩნოი, რომელსაც 12 ქულა აქვს. ე. გელერს 12,5 ქულა აქვს.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მიმოხილვა

◆ აზია ტაშს უკრავს საბჭოთა კავშირის მშვიდობის, მეგობრობისა და დახმარების პოლიტიკას. ◆ ჯონსონი კითხულობს: რატომ „მსოფლიოს არ ესმის ამერიკისა?“. ◆ ბოლო მოეღოს ატომგულის იარაღის გამოცდას!

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის ინდოეთში, ბირმაში, ინდონეზიასა და ავღანეთში კვლავ ცენტრალური ადგილი უკავია მსოფლიო პრესის ფურცლებზე და გამოხმაურების შეუნელებელ ნაკადს იწვევს. ამასთან საერთო აზრი ის არის, რომ ვიზიტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების პროგრესისათვის.

გამოხატავს რა ამ რაიონის საზოგადოებრიობის ფართოდ გავრცელებულ აზრს, ინდოეთის გაზეთი „ნავ ჯივანი“ წერს: „ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც შებოჭილი არ არის ვიწრო ინტერესებით და გაცვეთილი დიპლომატიური კონცეფციებით, აღიარებს, რომ საბჭოთა კავშირი ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით ცდილობს აღმოფხვრას ცივი ომი და განამტკიცოს მშვიდობა“. ამ დღეების აზიის ქვეყნების გაზეთები ბევრს წერენ საბჭოთა კავშირის სულ უფრო მზარდ ეფექტიან დახმარებაზე ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნებისადმი. აღნიშნავენ, კერძოდ, რომ საბჭოთა დახმარებას საფუძვლად უდევს ჩვენი სახელმწიფოს გულწრფელი სურვილი ნახოს ეს ქვეყნები აყვავებული, რომლებიც გადალახავენ ჩამორჩენილობას, სიღატაკეს, ავადმყოფობასა და უწიგნურობას, მოიშორებენ უცხოეთის მონოპოლიებზე ეკონომიური დამოკიდებულების ბორკილებს.

იაპონიის მსოფლიო ეკონომიის ინსტიტუტის დირექტორი კოსიირო ოკაკურა ჟურნალ „ასახი ძიანარუში“ წერს, რომ სსრ კავშირი აზიისა და აფრიკის სახელმწიფოებს დიდ დახმარებას უწევს მათთვის უაღრესად ხელსაყრელ პირობებში. ოკაკურა აღნიშნავს, რომ თავისი ხასიათით საბჭოთა კავშირის დახმარება მკვეთრად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების დახმარებისაგან. კაპიტალისტური ქვეყნები სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ძირითადად ასაღებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის „ნამეტს“ და სამომხმარებლო საქონელს, მაშინ როცა საბჭოთა კავშირი ამ ქვეყნებში აყენებს გიგანტურ საწარმოებს— ისეთებს, მაგალითად, როგორიც არის ინდოეთის ვეტალურგიული ქარხანა ბპილიში.

სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების პოპულარობა ცუდად დაფარულ შეშფოთებას იწვევს დასავლეთის ზოგიერთ წრეებში. მაგალითად, გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ მოუწოდებს ამერიკის მთავრობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისადმი დახმარების გაწევის საქმეში გამოიჩინოს „ისეთივე სიბეჯითე, როგორსაც იჩენენ რუსები“, რადგან სხვანაირად ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები დაკარგავენ თავიანთ გავლენას ამ რაიონში.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს „უშიშროების ურთიერთი უზრუნველყოფის“ ამერიკული პროგრამა, რომლის განხილვა ამ დღეებში დაიწყო ამერიკის შეერთებული ატომიანი კოგრესმა. პროგრამის განსახორციელებლად მთავრობა თხოულობს 4.175 მილიონ დოლარს — შაშანდელზე თითქმის მილიონადით მეტს. რა მიზნებს ისახავს ამერიკის პროგრამა?

გამოვიდა რა კონგრესში ამ პროგრამის მხარდასაჭერად, სახელმწიფო მდივანმა ჰერტერმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა დახმარებას სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი მიმზიდველი ძალა აქვს, და ირწმუნებოდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ დაეხმარონ „ასობით მილიონ ადამიანს, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ თავი დააღწიონ სიღატაკეს და ფრიად შეშფოთებული არიან თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების უმოკლესი და უაღრესად ეფექტიანი გზის გამოძებნით“. ამ კარგი სიტყვების მიუხედავად, „უშიშროების ურთიერთი უზრუნველყოფის“ ამერიკული პროგრამის გაცნობა გვიჩვენებს, რომ მის მიზნებს საერთო არა აქვს რა სუსტად განვითარებული ქვეყნების მისწრაფებასთან დაარჩარონ თავიანთი ეკონომიკის განვითარება, განამტკიცონ თავიანთი დამოუკიდებლობა. პროგრამაში დაპროექტებული სახსრების უდიდესი ნაწილი განკუთვნილია სამხედრო დახმარების გასაწევად, რაც გარდუვალად იწვევს დაძაბულობის შენარჩუნებას და გამალებული შეიარაღების გაგრძობას.

სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გასაწევად პროგრამაში გათვალისწინებულია მხოლოდ უმნიშვნელო სახსრები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ სახსრებმა უნდა შეასრულონ თავისებური მისატყუებელის როლი, რათა სუსტად განვითარებული ქვეყნები ჩაებან სხვადასხვა სამხედრო ბლოკებში და მიიღწიონ მათ ტერიტორიებზე იმპერიალისტური სახელმწიფოების სამხედრო ბაზების განლაგებას. მაგრამ ასეთი მისტყუებელის მოყვარული სულ უფრო ნაკლებია.

ამერიკის სენატში უმრავლესობის ლიდერი ლინდონ ჯონსონი ამ ცოტა ხნის წინათ გაკვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ უცხოეთის სახელმწიფოებისადმი „დახმარებისათვის“ მრავალმილიარდიანი ხარჯების მიუხედავად „მსოფლიოს არ ესმის ამერიკისა“. ამასვე არაერთგზის უჩიოდა ამერიკის საინფორმაციო სააგენტოს ხელმძღვანელი ჯორჯ ალენი, რომელიც თავისი სამსახურის გამო რეგულარულად უკითხავს ანალიზს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობას. მისი სიტყვით „თავისუფალ“ (ე. ი. კაპიტალისტურ) სამყაროში „საოცრად ბევრი ადამიანია“, რომლებსაც თითქოს „არასწორად“ ესმის ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი პოლიტიკა.

ეს გასაგებიცაა. შიშველი, ცხოვრებას მოწყვეტილი პროპაგანდა ვერ აანაზღაურებს დრომოჭმულ პოლიტიკას. ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა აზიაში, როგორც აღნიშნავს წიგნში „ახალი ამერიკა“ თვალსაჩინო ამერიკელი მოღვაწე ე. სტიკენსონი, „სასტიკი და მილიტარისტულია“. რაც შეეხება „ეკონომიური დახმარების გაწევაა ამერიკულ სისტემაა“, იგი, სტივენსონის აზრით, „ჯერ კიდევ იმდენად ძაბაკვეული სამხედრო პოლიტიკას, რომ აზიაში იგი მიაჩნიათ ქრთამად იმისათვის, რომ ეს თუ ის ქვეყანა ჩვენს მხარეზე დადგეს“.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ეგრეთწოდებული „უშიშროებისა ურთიერთ უზრუნველყოფის“ პროგრამა სულ მეტ ოპოზიციას იძენს ამერიკის შეერთებულ შტატებში. კომენტარს უკეთებს რა კონგრესში ჰერტერის უკანასკნელ მათქმელას, რომელიც მოითხოვდა მოეწონებინათ მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამა „კომუნისტური ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის გამო“, იუსაიტად პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი აღნიშნავს: „თუ პირველი ნიშნებით ვიმსჯელებთ, კონგრესის წევრები ამ განცხადებას რამდენადმე კრიტიკულად შეხვდნენ“. კორესპონდენტის სიტყვით, ზოგიერთი მათგანი ლაპარაკობდა განზრახვაზე მკაცრად გააკრიტიკონ პროგრამა, სხვები პირობას იძლეოდნენ დაეწყოთ ბრძოლა მისი შემცირებისათვის.

სუსტად განვითარებული ქვეყნების — და არა მარტო მათი, არამედ აგრეთვე მთელი ჩვენი პლანეტის — ეკონომიური განვითარების პრობლემები მჭიდროდ არის გადახლართული საერთაშორისო საკითხების მთელ კომპლექსთან, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია განიარაღება. გასული კვირა აღინიშნა ზოგიერთი ახალი მოვლენით სამი სახელმწიფოს — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ქვეყნის მოლაპარაკებაზე ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. თუმცა მრავალი თვის მოლაპარაკებამ არსებითად დაახლოვა მხარეთა პოზიციები, მაგრამ მოლაპარაკება დროდადრო ჩიხში ექცევა ახალ დაბრკოლებათა გამო, რომლებსაც ქმნიან ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის მოწინააღმდეგენი. მორიგი ასეთი დაბრკოლება იყო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მიერ 11 თებერვალს შეტანილი ახალი წინადადებანი, რომლებიც ფაქტიურად რევიზიას უკეთებენ იმ საფუძველს, რომელზეც დღედღე წარმოდგა მოლაპარაკება, და მოითხოვენ დაიწყოს შეზღუდული შეთანხმების განხილვა, რომლითაც დასაშვები იქნება ზოგიერთი სახეობის ატომგულის იარაღის გამოცდა მიწისქვეშ და კოსმოსში. უცხოეთის პრესა, მათ შორის ამერიკული პრესა, საკმაოდ გულახდილად წერს, რომ ეს ახალი წინადადებანი წარმოიშვა იმის შედეგად, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში გაიმარჯვეს ატომგულის იარაღის გამოცდის განახლების მომხრეებმა. ამერიკის ახალი წინადადებების გამორჩენის წინ უძღოდა პრესის ცნობა, რომ პენტაგონი და ატომური ენერგიის კომისია ვაშინგტონში ამზადებენ ატომგულის იარაღის გამოცდების სერიას. ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ტაქტიკა ჟენევის მოლაპარაკებაზე „სავსებით აშკარად ნაკარუდევია არა იმდენად იმისათვის, რომ იგი ნაყოფს მოიტანს, რამდენადაც ვაშინგტონის იმ წრეების დასამშვიდებლად, რომლებიც უკვე 15 თვეა ღელავენ მთავრობის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების გამო შეაჩეროს ყოველგვარი გამოცდა.

ამ პირობებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია საბჭოთა კავშირის ინიციატივამ, რომელმაც 16 თებერვალს ჟენევაში შეიტანა ახალი წინადადება. ამ წინადადებაში დაკმაყოფილებულია დასავლეთის სახელმწიფოთა მოთხოვნები ატომგულის იარაღის აფეთქებისადმი კონტროლის სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებში. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ეს საბჭოთა წინადადებანი დაახასიათა როგორც „წინ გადადგმული ნაბიჯი“, მაგრამ არ გამოირიცხა მზადყოფნა გადაესინჯა ამერიკის პროექტი, რომლის მიღება ფაქტიურად გზას გაუხსნის კიდევ უფრო მეტ გამალებულ ატომურ შეიარაღებას.

მსოფლიო საზოგადოებრიობა მტკიცედ მოითხოვს, რომ ბოლო მოეღოს ატომგულის იარაღის ყველა გამოცდას. ყველა საღად მოაზროვნე პოლიტიკურ მოღვაწეს მოუხდება ანგარიში გაუწიოს ამ მოთხოვნას.

ი. ლაპიცკი.

ეიზენჰაუერის გამოსვლა

ვაშინგტონი, 22 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ლათინურ ამერიკაში გაფრენის წინ რადიოთი და ტელევიზიით გააკეთა განცხადება თავისი მოგზაურობის მიზნების შესახებ.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „საერთაშორისო დაძაბულობის, პატივმოყვარულ მისწრაფებათა გაღვიძებისა და სახელმწიფოთა მზარდი ურთიერთდამოკიდებულებით გამოწვეული პრობლემების დღეებში, საჭიროა, რომ კარგი პარტნიორები ეცადონ უფრო მეტი ურთიერთგაგების მიღწევას და საერთო პროგრამების გაუმჯობესებას“.

ამასთან დაკავშირებით მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს, როგორც მან თქვა, „ზოგჯერ სწორად არ ესმით“ შეერთებული შტატებისა. პრეზიდენტმა მაგალითად მოიყვანა ლათინურ ამერიკაში გამოთქმული აზრი, რომ შეერთებული შტატები ძალიან ბევრ ყურადღებას უთმობენ ყბადაღებულ „კომუნისტური იმპერიალიზმის საფრთხეს“ და „უგულებელყოფენ დასავლეთ ნახევარსფეროში თანამშრომლობისა, და პროგრესის ამოცანებს“. უპასუხა რა შეერთებული შტატების პოლიტიკის ამ კრიტიკაზე, ეიზენჰაუერი ამტკიცებდა, რომ „ჩვენი (ე. ი. შეერთებული შტატების) სამხედრო პროგრამები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ ისახავენ ერთადერთ მიზანს — მშვიდობის შენარჩუნებას, რასაც ლათინური ამერიკისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენთვის“.

თავისი გამოსვლის დასასრულს ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ლათინური ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებთან მისი მოლაპარაკების საგანი იქნება ამ ქვეყნების ისეთი პრობლემები, როგორიც არის „კაპიტალების უქონლობა განვითარებისათვის, მათი საექსპორტო საქონლის ფასების დიდი მერყეობა, საერთო რეგიონალური ბაზრების საჭიროება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ახალი კრედიტების მიღებისათვის, იმის საჭიროება, რომ გაუმჯობესდეს ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, საბინაო მშენებლობა და ტრანსპორტი“.

ეიზენჰაუერი გაემგზავრა სამხრეთ ამერიკაში

ვაშინგტონი, 22 თებერვალი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი თვითმფრინავით გაემგზავრა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. იგი ეწვევა ბრაზილიას, არგენტინას, ჩილისა და ურუგვაის.

მეხანძრეთა მამაცობა

ფოთი. ღამის პირველ საათს გადაცილებული იყო, როცა ქარის ღმუილს თბილისის ქუჩაზე მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მცხოვრებთა სასოწარკვეთილი ყვირილი შეუერთდა. ზედა სართული იწვის, უშველეთ! — გაისმოდა აქეთ-იქიდან. ერთ-ერთი მოქალაქე, ე. არდალიანი, სწრაფად გაეკანა მახლობელი დაწესებულებისაკენ და ტელეფონით დაურეკა ქალაქის სახანძრო რაზმს.

საკვამლე მილებიდან ცეცხლის ენებს ქარი ყველა მიმართულებით ფანტავდა. ოდნავი დაყოვნება საფრთხეს უქმნიდა არა მარტო ამ სახლს, არამედ მთელ კვარტალს. ხანძრის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდნენ ფოთის სახანძრო რაზმის მებრძოლები და მეთაურები. ისინი სწრაფად მოედვნენ შენობის სართულებს და სახურავს, მოსაზრებული მოქმედებითა და გამბედაობით შეძლეს ქარიან ღამეში ხანძრის ჩაქრობა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ყარაულის უფროსმა გ. ხონელიძემ, მებრძოლებმა ვ. ძიძაყამ, გ. კილასონიამ, კ. ბუალავამ, მძღოლმა ი. ბაევმა.

ამ დღეებში ფოთელმა მეხანძრეებმა დროული დახმარებით დაწვას გადაარჩინეს კიროვის ქ. № 81 მცხოვრებ კ. გვიჩიას სახლი. ამ ოპერაციაში ქება დაიმსახურეს გ. იოსავამ, დ. პაპკოვიამ, მ. სტეფანიამ, ბ. ბახბავამ და მძღოლმა ი. პოპოვმა.

ა. კომახიძე.